პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

8 ივნისი | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | № 8 ფასი 50 კაპ.

## დარაზმული შევხვდეთ დიდ მოძრაობას

— „ჩვენი რევოლუციის დამახასიათებელი თავისებურება, — სთქვა დიდმა ბელადმა ამხ. **სტალინმა** სტახანოველთა თათბირზე, — ის არის, რომ მან მისცა ხალხს არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც".

საბჭოთა მწერლობის, მისი ლიტერატურული ორგანიზაციის ამოცანაა დაეხმარონ მასებს ამ შესაძლებლობის განალდებაში, აამაღლონ და გააძლიერონ თავისი დამრაზმელი და აღმზრდელობითი როლი მუშათა კლასის, კოლმეურნეთა მასების კულტურულ შემოქმედების ზრდასა და აღმავლობაში.

მწერლებზე, მათ მონდომებაზე, მათი ორგანიზაციების ახლებურად — ორგანიზაციულად და ოპერატიულად მუშაობის უნარზედაც არის დამოკიდებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაცხოველება სოფლად და ქალაქად.

მუშაობის წინანდელი ფორმები დღეს გამოუსადეგარია. ახლა მუშასა და კოლმეურნეს უკვე ვერ მიუდგები ვიწრო, შეზღუდული კულტურული მომსახურების ძველი საზომით, სტახანოველ მუშას და სოციალისტურ მინდვრების დამკვრელ კოლმეურნეს ვერ მიუდგებით, როგორც კულტურის პასიურ მომხმარებელს. ჩვენი ქვეყნის მუშები და კოლმეურნეები პირველ ყოვლისა თავისუფალი მწარმოებლები, ახალი სოციალისტური ცხოვრების სოციალიზმის ყველა მატერიალური სიკეთის შემქმნელნი და მომხმარებელნი არიან. ამავე დროს ისინი არიან სოციალისტური კულტურის (ნივთიერი და სულიერი კულტურის) შემოქმედნი. რაც დრო გადის, მით უფრო ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა იჭრება ჩვენი სოციალისტურ სამშობლოს მშრომელ მასებში, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება სოციალისტური კულტურის საერთო განვითარებაში როლი მხატვრული ლიტერატურისა, რომელიც ამოცანად ისახავს — შეიცნოს, ასახოს ჩვენი შესანიშნავი სინამდვილე, რომ ამით აქტიური ზეგავლენა იქონიოს ცხოვრებაზე, ხელი შეუწყოს მის შემდგომ გაუმჯობესებას, სრულყოფას. ამ ამოცანის შესრულებით მწერლობა ეხმარება პარტიას მშრომელ მასების სოციალისტურ აღზრდაში. სწორედ ამიტომ არის, რომ პარტია ასეთი გულისყურით და მზრუნველობით ეკიდება მწერლობას და მოითხოვს, რომ მასებში ფართოდ გავრცელდეს მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა", რომელიც სისტემატიურად მოითხოვდა სოფლად კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ღრმად მოფიქრებული გეგმის შედგენას და ამ გეგმაში მხატვრულ ლიტერატურის შესწავლის აუცილებელ გათვალისწინებას, ერთერთ თავის მეთაურ წერილში სწერდა:

„სარაიონო ორგანიზაციების ხელმძღვანელები პირველ ყოვლისა პარტიის სარაიონო კომიტეტების მდივნები, რომელნიც უკვე ჩინებულად დაეუფლენ სოფლის მეურნეობის ტექნიკას, ყოველ მის დეტალს, ვალდებული არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი კულტურის საქმეს სოფლად. ამ საქმეში მათ უნდა ჩააბან კოლმეურნეობათა გამგეობები, რომლებსაც სასოფლო სამეურნეო არტელის სტალინური წესდება ავალებს: „აამაღლონ არტელის წევრთა კულტურული დონე", უნდა ჩააბან თვით კოლმეურნეები" („პრავდა" 16 დეკემბერი 1935 წ.).

ერთერთი პირველი პარტიული ორგანიზაცია ჩვენში, რომელიც გამოეხმაურა ცენტრალურ ორგანოს ამ მნიშვნელოვან ინიციატივას, იყო ლაგოდეხის რაიკომი, რომელმაც იმ თავითვე დიდი სერიოზულობით და მონდომებით მოკიდა ხელი მხატვრული ლიტერატურის, მხატვრული წიგნის პროპაგანდის საქმეს და უკვე ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებით. პარტიის ლაგოდეხის რაიკომმა მხატვრული წიგნის გავრცელება დასახა ერთერთ მთავარ ღონისძიებად კოლმეურნეთა პოლიტიკური კულტურული დონის ამაღლებისათვის და მხატვრული ლიტერატურის შესწავლა დაუკავშირა კლასთა ბრძოლის, საზოგადოებრივი განვითარების, პარტიის ისტორიის შესწავლას. ამ მიზნით კოლმეურნეობებთან და სოფლის სამკითხველოებთან ჩამოაყალიბა კოლმეურნე მკითხველთა წრეები, შეადგინა წრეში შესასწავლი მხატვრული ლიტერატურის პროგრამა-მინიმუმი, გამოიმუშავა მეთოდიური ღონისძიებანი წრეების ხელმძღვანელთათვის, მოაგვარა მხატვრული წიგნის გავრცელების საქმე, შემოიღო მკითხველთა კონფერენციები მწერალთა მონაწილეობით, ფართო ადგილი დაუთმო მასიური ლიტერატურული მოძრაობის საკითხების გაშუქებას თავის სარაიონო გაზეთში და მთელ რიგ ასეთი ღონისძიებებით მხატვრული წიგნის პროპაგანდის საქმე ჩააყენა მტკიცე ორგანიზაციულ, გეგმიან კალაპოტში.

სიღნაღისა და თელავის რაიონებში მოწვეულ მკითხველთა კონფერენციები მოწმობენ, თუ რამდენად გაიზარდა კულტურულად ჩვენი სოფელი, თუ რა დიდ მოთხოვნილებას უყენებს იგი მწერალსა და მის ნაწარმოებს. მწერლის შემოქმედების განხილვა ამ კონფერენციებზე მიმდინარეობდა ისეთივე გატაცებით, როგორც მიმდინარეობს ხოლმე მსჯელობა ამა თუ იმ ხელმძღვანელ-კომუნისტის სამეურნეო საქმიანობის გარშემო. მაგ. ჩვენმა ორდენოსანმა მწერალმა **მიხეილ ჯავახიშვილმა** ლაგოდეხის მკითხველთა კონფერენციაზე მოისმინა არა მარტო თავისი ნაწარმოების იდეური ღირებულების, არამედ ნაწარმოების მხატვრული ხარისხის შეფასებაც.

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ იწყება დიდი მასიური ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც სულ მოკლე ხანში მოედება მთელ ჩვენს ორდენოსან რესპუბლიკას.

ცხადია, მწერლობა, მისი ორგანიზაცია, რომლის ინიციატივით ჩამოყალიბდა 30-მდე მკითხველთა წრე — სხვადასხვა რაიონში, ეხლაც ვერ დარჩება ამ მოძრაობის პასიურ მოწმედ. მწერლობა და მისი ორგანიზაციები, პერიოდული ორგანოები, გამომცემლობანი ვალდებულნი არიან გააძლიერონ და გეგმიან კალაპოტში ჩააყენონ თავიანთი აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში. დაუყოვნებლივ უნდა გამომუშავდეს კონკრეტული გეგმა, რომელიც უნდა ემყარებოდეს კონტაქტსა და მჭიდრო კავშირს რაიონების პარტიულ ორგანიზაციების კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობასთან. ეს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი მასიური სექტორის მონაწილეობის გაძლიერებას სამკითხველოების, კოლმეურნეთა ინდივიდუალური ბიბლიოთეკების დაკომპლექტებაში, მკითხველთა წრეებისათვის მეთოდიურ ღონისძიებათა გამომუშავებაში, უნდა ითვალისწინებდეს მწერალთა სისტემატურ მივლინებებს მკითხველთა წრეებში და კონფერენციებზე. უნდა დამუშავდეს და დაზუსტდეს სოფლად მივლინებულ მწერალთა მუშაობის ფორმები. მწერალი ერთი დღით სტუმარივით როდი უნდა ცხადდებოდეს წრეებში და კონფერენციებზე. იგი სოფლად უნდა რჩებოდეს უფრო ხანგრძლივად, საფუძვლიანად ეცნობოდეს მკითხველთა მუშაობას წიგნზე, ისმენდეს მათ აზრს ამა თუ იმ დამუშავებულ ნაწარმოებებზე, კითხულობდეს და თავის უბის წიგნაკში იწერდეს მათ შენიშვნებს, შეფასებას, აძლევდეს საჭირო მითითებებს და სხვა. ასეთი ცოცხალი კავშირი და საქმიანი ურთიერთობა, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო მკითხველებს, არამედ თვით მწერლებსაც, რადგან ახალი მკითხველების გაცნობა, მათი მოთხოვნილებების შესწავლა, ასწევს თვით მწერლების მუშაობის ხარისხს და მისცემს დაუშრეტელ მასალას ნამდვილი ცოცხალი შემოქმედებისათვის. მკითხველთა რეცენზიების აზრების, წინადადებების შეკრება, მათი დამუშავება ძვირფას განძს შეიტანს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშიც.

გოლიათის ნაბიჯით დაიძრა მასიური მკითხველი მხატვრული წიგნისაკენ.

საბჭოთა მწერლობა ყოველმხრივ მომზადებული და დარაზმული უნდა შეხვდეს შეძლებული ცხოვრების, მუშათა და კოლმეურნეთა მასების კულტურული ზრდის მომასწავებელ ამ დიდ მოძრაობას.

## კრიტიკის გააქტიურებისათვის

ქართული მხატვრული კრიტიკის დარგში მომუშავეთა რაოდენობა არც ისე მცირეა, როგორც ეს შეიძლება იფიქრონ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ორგანოების მკითხველებმა, რომლებიც ხშირად ვერ ხედავენ ქართული პერიოდიკის ფურცლებზე მხატვრული პროდუქციის შეფასებას და გამოხმაურებას ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. ის ფაქტი, რომ ჟურნალ „მნათობი"-ს და ჟურნ. „ჩვენი თაობა-"ს სამუშაო გეგმების განსახილველად კრიტიკოსთა სექციის მიერ მოწვეულ თათბირზე შეკრიბა კრიტიკის ფრონტზე მომუშავე ორმოცი ამხანაგი, მოწმობს, რომ ჩვენ ძალები გვყავანან, მაგრამ თუ კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის საქმე ჯეროვნად მოწესრიგებული არ არის, ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ეს კადრები არ არიან სათანადოთ შესწავლილი, დარაზმული და ორგანიზებულად ამოქმედებული.

— ჩვენ ცდას არ ვაკლებთ, რომ გამოვიყენოთ ყველა, ვისაც ცოდნა და ამ დარგში მუშაობის უნარი შესწევს, — სთქვა „მნათობის"-ს რედაქტორის მოადგილემ ამხ. შ. რადიანმა, — წინასწარ ვუკვეთთ წერილებს, მოვაგონებთ ხოლმე, რომ დაპირებას შესრულება უნდა, ნივთიერადაც ხელს ვუმართავთ, მაგრამ ჩვენი ღონისძიებები მეტ წილად უშედეგოდ რჩებაო.

რატომ რჩება უშედეგოდ? რა უშლის ხელს კრიტიკოსების შემოქმედებას, რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, რა არის მიზეზი რომ მხატვრული კრიტიკა ჩამორჩა საერთო ლიტერატურის განვითარებას? — მართალია, ეს საკითხები თითქმის ყოველ თათბირზე აღიძვრის ხოლმე, მაგრამ არც ერთს ჩვენი ჟურნალის რედაქციას, არც ერთს იმ ორგანიზაციას, რომლის დანიშნულებასაც ეს საქმე შეადგენს, ჯერ სერიოზულად არ უცდია საფუძვლიანად შეესწავლა მხატვრული კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზები და მიეღო ზომები ინერციის დასაძლევად ამ უაღრესად საპასუხისმგებლო უბანზე.

არა პარტიზანული ღონისძიებები, შემთხვევითი დაკვეთები და მოწოდებები გაჭირვების დროს, როცა ჟურნალს აუცილებლად სჭირდება წერილი ამა თუ იმ ნაწარმოებზე, ამა თუ იმ გადაუდებელ საკითხზე, არამედ სისტემატური ორგანიზაციული მუშაობა კრიტიკოსთა კადრებთან — აი გზა, რომელიც გეგმიანობის საფუძველზე და რაციონალურ ნიადაგზე დააყენებს კრიტიკოსთა მუშაობას და ჩვენს პერიოდულ გამოცემებსაც გამოიყვანს იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი დღეს იმყოფებიან.

ლიტერატურისმცოდნეთა, კრიტიკოსთა სისტემატურ შეკრებას, მტკივნეული საკითხების წინასწარ მომზადებას, საერთო სხდომაზე მათ საქმიან განხილვას რომ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ეს ცხადყო თუნდაც ზემოდხსენებულმა თათბირმა, რომელზედაც განხილულ იქნა არა მარტო ჩვენი კრიტიკის ორგანიული არსებითი ნაკლი და გარკვეული იქნა არა მარტო კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზები, არამედ დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებებიც კრიტიკული მუშაობის გასაცხოველებლად, კრიტიკის იდეური დონის ასამაღლებლად და ამასთან გამახვილებულ იქნა ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრივობის ყურადღება კრიტიკის მიერ გადაუჭრელ და დაუძლეველ ამოცანებზე.

ასეთი ამოცანები კი ბევრზე ბევრია, რაც აშკარა იყო ჯერ კიდევ ამ თათბირამდე.

პირველ ყოვლისა ჩვენი მთავარი საზრუნავია კრიტიკის ხარისხი. უნდა ითქვას, რომ 23 აპრილის დადგენილებამ, მწერალთა საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ჩვენში გამართულმა დისკუსიებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ჯგუფურ კრიტიკას. თავის საფუძველში კრიტიკა უფრო პრინციპული გახდა, მაგრამ მან თავი ვერ დააღწია ორს ძირითად ნაკლს—ემპირიულობას და აბსტრაქტულობას—სქოლასტიკას. განყენებული კატეგორიებით, კონკრეტულ ფაქტებთან დაუკავშირებელ მსჯელობას ჯერ კიდევ ვხვდებით კრიტიკოსების ნაწერებში და მათ ზეპირ გამოსვლებში. ავიღოთ მაგალითისათვის სოციალისტური რეალიზმის სტილის გარკვევის საკითხი. რამდენიმე დისკუსია გაიმართა, ორი სამი წერილიც დაიწერა ამ თემაზე, მაგრამ ამ ცნების გარკვევა ჩვენში ხშირად განყენებულ მსჯელობის ფარგალს ვერ გასცილდა. სოციალისტური რეალიზმის სტილი შეიძლება ახსნილი და განმარტებული იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როცა გვექნება ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებთა ანალიზი.

ყოველი თეორეტიული დებულება ლიტერატურული მაგალითებით უნდა იყოს დაკონკრეტებული. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კონკრეტული კრიტიკა კი ჩვენში ძალიან დაბალ დონეზე დგას. ზოგჯერ კრიტიკული წერილების ხასიათი ისეთია, რომ თუ წერილიდან ამოვიღებთ განსახილველად აღებული წიგნის სახელს და ავტორის გვარს, შესაძლებელი გახდება ეს წერილი თანაბარი წარმატებით მივუყენოთ ერთს, მეორე და მესამე მწერალს. და ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენში უმთავრესად კრიტიკა იფარგლება საერთო მსჯელობით სოციოლოგიურ თემებზე, ხელოვნების სპეციფიკა, თვითეული ცალკე ნაწარმოების თავისებურება, ის, რაც შეადგენს ლიტერატურის მრავალგვარობას, მივიწყებული და უგულებელყოფილი რჩება.

მაგრამ ვხვდებით უფრო უარეს მაგალითებს, როცა კრიტიკა კმაყოფილდება ლიტერატურული ფაქტოგრაფიკა და სახელების მშრალი რეგისტრაციით, ნაწარმოების შინაარსის [illegible] მოყოლით. ასეთ წერილებში ვერ ნახავთ ვერც ეპოქის დახასიათებას, ვერც ნაწარმოების [illegible]სობრივ, სოციალური დანიშნულების ანალიზს, ვერც ნაწარმოების ესთეტიკურ-მხატვრულ გაშუქებას.

თათბირზე სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ ჩვენს კრიტიკოსთა ნაწარმოებებში ვერ ვხვდებით საერთო-პოლიტიკურ სოციალურ, ესთეტიკურ პრობლემების დასმას კონკრეტულ ნაწარმოებთა ღრმა ანალიზის საფუძველზე.

ჩვენი კრიტიკის ხარისხის დაბალი დონის მაჩვენებელია აგრეთვე ფორმა ქართული კრიტიკული წერილებისა. მრავალი ჩვენი კრიტიკოსი გულგრილად, აგდებით ეკიდება თავისი აზრების გამოთქმის ფორმას. ზოგს კრიტიკოსს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის უდავო ფაქტი, რომ საჭიროა მან არა მარტო მწერალს, პოეტს, არამედ თავის თავსაც მოსთხოვოს სადად, გასაგებ ენაზე წერა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სისადავე წარმოადგენს აზრის სირთულის უმაღლეს გამოხატულებას, სადად აზრის გამოთქმა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინაც ბოლომდე ღრმად მოიფიქრა იგი, ვისთვისაც ეს აზრი ნათელი და გარკვეულია.

შეიძლება, ჩვენი ახლანდელი კრიტიკა ვერ სწყვეტდეს მის წინაშე დასმულ ამოცანებს იმიტომაც, რომ ბევრ კრიტიკოსს, ხანდახან მარქსისტულად მომზადებულ კრიტიკოსსაც, არ ემარჯვება მკაფიოდ, ნათლად, დამაჯერებლად გამოკვეთოს თავისი აზრი. პირველ ყოვლისა, კრიტიკა მეცნიერებაა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მას ბევრი რამ აქვს საერთო ხელოვნებასთან. მხოლოდ იმას აქვს წარმოდგენილი სწორად კრიტიკოსის ამოცანები, ვინც კრიტიკას სთვლის შემოქმედებად, ხოლო კრიტიკოსს — სიტყვის ოსტატად. უნდა ამაღლდეს ჩვენი კრიტიკის ფორმის ხარისხიც.

მაგრამ ქართული მხატვრული კრიტიკა დამაკმაყოფილებელი არ არის რაოდენობის მხრივაც. მწერლები, პოეტები მოითხოვენ თავიანთ ნაწარმოებების ღრმა, საფუძვლიან და დროზე შეფასებას. ეს მოთხოვნა სრულიად ბუნებრივი და კანონიერია. იწერება, იბეჭდება, იცემა მოთხრობები, რომანები, პოემები, ლექსთა კრებულები, ხოლო გაზეთებში, ჟურნალებში მათ შესახებ თვეობით კრიტიკა არ იძვრის. შეიძლება, ათობით დავასახელოთ ქართული მხატვრული წიგნიც, რომელსაც მასა კითხულობს და რომელიც მასისავე მოთხოვნით რამდენიმეჯერ იცემა, მაგრამ კრიტიკა მასზე სდუმს. გვყავანან მწერლები, რომელნიც უკვე ორი და სამი ათეული წელი მოღვაწეობენ, მაგრამ კრიტიკას მათზე არც ავი, არც კარგი არ დაუწერია.

უფრო მეტი. ჩვენი მწერლობის ისეთი უაღრესად საპასუხისმგებლო უბანი, როგორიც არის საბავშვო-საყმაწვილო მწერლობა, ან სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურა, კრიტიკისაგან სრულიად მივიწყებულია. ეს კი დანაშაულს უდრის.

არ გვაქვს არც რუსული, არც უკრაინული, არც სომხური და სხვა თანადროული მოძმე მწერლობის კრიტიკული მიმოხილვები. ეს ნაკლოვანებები კრიტიკის ფრონტზე რაც უფრო ადრე გამოსწორდება, მით უკეთესია ჩვენი კრიტიკის ავტორიტეტისათვის. კადრები გვყავახ და თუ სურვილს გამოვიჩენთ, ცდას არ დავაკლებთ, მაღალხარისხოვანი კრიტიკაც გვექნება.

კრიტიკამ უნდა მოიცვას საკავშირო საბჭოთა ლიტერატურის მთელი ფრონტი — ამ ლოზუნგით უნდა გააჩაღონ მუშაობა კრიტიკოსთა სექციამ და ჩვენი მხატვრული გამოცემების რედაქციებმა, რომლებიც დროა, გარდაიქცნენ კრიტიკული შემოქმედების ნამდვილ ცენტრებად. უნდა მოისპოს თვითდინება, კრიტიკული წერილების შემთხვევითი დაკვეთა, განსახილველ ნაწარმოებების და მწერლების ამა თუ იმ კრიტიკოსის მოპრიანებაზე, მხოლოდ მის სიამოვნებაზე დამყარებული შერჩევა; ცალკე კრიტიკოსის და კრიტიკოსთა მთელი კოლექტივის მუშაობაში შეტანილი უნდა იქნეს მტკიცე გეგმიანობა. ეს არის უპირველესი მოვალეობა კრიტიკოსთა სექციისა, რომლის სისტემატურმა ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველჰყოს, როგორც კრიტიკული კადრების ზრდა და გაფართოვება, ისე კრიტიკის გავრცელება მთელს საბჭოთა ლიტერატურაზე, ყველა მის უბანზე, უნდა უზრუნველჰყოს კრიტიკის ორბიტში მოძმე მწერლების, უცხოეთის ლიტერატურის გეგმაშეწონილი მოქცევა.

განუზომელია კრიტიკის მნიშვნელობა მწერლებისათვის, მაგრამ კრიტიკამ ორიენტაცია, გეზი უნდა აიღოს, უპირველესად ყოვლისა, ფართო მკითხველ მასებზე. ქართული წიგნის მკითხველი მასა დღითი დღე იზრდება. ქართული წიგნი სცილდება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და იპყრობს მილიონიან არა-ქართველ მკითხველ მასებს. რათ ღირს მარტო ლაგოდეხის რაიონის მაგალითი, თელავის რაიონის კოლმეურნეთა და ტფილისის რკინისგზელთა მიმართვა მწერლებისადმი. ხელოვნება, ლიტერატურა, მხატვრული წიგნი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ხდება ცხოვრების და ბრძოლის უშუალო შემეცნების იარაღად.. საბჭოთა კრიტიკის ამოცანაა დაეხმაროს მკითხველს, რომ მან აითვისოს ეს რთული და მჭრელი იარაღი. საკითხის ასე დაყენება ოდნავ არ ამცირებს კრიტიკის ზედმოქმედებას უშუალოდ ლიტერატურაზე და მის შემოქმედ ძალებზე. პირიქით იგი აძლიერებს მას.

ხშირად ჩვენი კრიტიკა სრულიად სამართლიანად მოუწოდებს მხატვრული სიტყვის ოსტატებს დაეწაფონ ჩვენს სინამდვილეს, თავის შემოქმედების საზრდოდ აიღონ ჩვენი ცხოვრების დიადი ფაქტები, შეიცნონ და სწორად, სიმართლით ახსნან სოციალისტური მშენებლობის დიდი პროცესები. ძალიან კარგია, რომ კრიტიკა მწერლობას ხშირად მოაგონებს ამ ერთად-ერთ სწორ გზაზე სვლის აუცილებლობას, მაგრამ ამ მოწოდებით მან თავის თავსაც უნდა მიმართოს და როცა იგი ლიტერატურულ ნაწარმოებს არჩევს, პირველ ყოვლისა დაეყრდნოს ცოცხალ სინამდვილეს, ნაწარმოებებს მიუდგეს ჩვენი ცხოვრების ძირითადი პროცესების და საჭიროების თვალსაზრისით. ამისათვის მარტო წიგნებიდან მიღებული ცოდნა არ კმარა, ბრძოლა მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დაუფლებისათვის უნდა დაუკავშირდეს ჩვენი სოციალისტური პრაქტიკის ღრმა შესწავლას. კრიტიკოსი უნდა გასცდეს თავის კაბინეტს, თავის საწერ მაგიდას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასების იდეური პოლიტიკური დონის ასამაღლებლად გაშლილ ფართო მუშაობაში. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმო იყო ზემოხსენებულ თათბირზე ამხ. ალი არსენიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტრაიკომის პროპაგანდისტთა წრეში მუშაობამ ცხოვრების ცხოველმყოფელი სიახლე მაგრძნობინაო. ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებთან არის საუკეთესო გარანტია სქოლასტიკისაგან, აბსტრაქციულობისაგან თავის დასაზღვევად. ალბათ იმით რომ ჩვენი პროფესიული კრიტიკა ხშირად სინამდვილის საჭიროებიდან არ გამოდიოდა, ალბათ იმით, რომ ჩვენი პროფესიული კრიტიკა მრავალ შემთხვევებში მჭიდროდ, უშუალოდ დაკავშირებული არ არის მასებთან, აიხსნება ის, რომ იგი ხშირად აგვიანებს აქტუალური ლიტერატურული საკითხების წამოყენებას და გადაჭრას. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ სისადავის საკითხი ხელოვნებაში მწვავედ დააყენა არა პროფესიულმა კრიტიკამ, არამედ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა"-მ, რომელიც, ეყრდნობა რა უშუალოდ მასებს, წინათაც ლიტერატურულ ორგანოებზე უფრო ადრე აყენებდა საკითხს აქტუალურ თემატიკაზე, მწერლის ტიპზე და სხვ.

ვიმეორებთ, საჭიროა გეგმიანობა კრიტიკოსთა მუშაობაში, საჭიროა კრიტიკოსთა სექციის, ჟურნალ-გაზეთების რედაქცია და გამომცემლობათა, უნივერსიტეტის სათანადო კათედრის გაერთიანებული ღონისძიებანი. ამ ორგანიზაციებში თავმოყრილი ძალების შემკრებ ცენტრად ნამდვილად უნდა გახდეს კრიტიკოსთა სექცია, რომელმაც უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი — გამოიმუშავა და ზემოხსენებულ თათბირს წარუდგინა ზოგიერთ ნაწარმოებისა და მწერლის შემოქმედების განხილვის თემატიური გეგმა. მაგრამ ის მუშაობა, რომელსაც ეს გეგმა ითვალისწინებს, საკმარისი არ არის. არ კმარა მხოლოდ კრიტიკოსთა და რეცენზენტთა დარაზმვა, მათი დროგამოშვებით შეკრება, ამა თუ იმ ნაწარმოების გასარჩევად; არა ნაკლებ საჭიროა მკითხველთა, კრიტიკოსთა გაერთიანებული კონფერენციების ორგანიზაცია, ხოლო ყველაზე მეტად აუცილებელია ჩვენი კრიტიკოსთა კადრების ჩაბმა ფართო კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაში. უამისოდ ჩვენი კრიტიკა თავს ვერ დააღწევს ცეხური კარჩაკეტილობის საფრთხეს, აბსტრაქტულ-სქოლასტიურ მსჯელობის და ემპირიზმ-ნატურალიზმის საშიშროებას. თავის შემოქმედებაში.

**ვანო წულუკიძე**

## გარდაიცვალა ამხ. ს. თოდრია



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის, ძველი ბოლშევიკისა და მწერლის

**სილვა თოდრიას**

მოულოდნელ გარდაცვალებას.

## ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავი

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავის და გარდაცვალების 30 წლისთავის აღნიშვნის საკითხი და დაავალა სამდივნოს უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს საიუბილეო ღონისძიებანი, შეუთანხმოს ისინი სათანადო ორგანიზაციებს და ამ თავითვე შეუდგეს მათ განხორციელებას. ვინაიდან დრო მცირე ღა რჩება და საჭიროა მუშაობის დაჩქარება, პრეზიდიუმმა დაავალა სამდივნოს პრეზიდიუმის ყოველ სხდომაზე წარადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაიშლება საიუბილეო სამზადისი.

## ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების პოპულარიზაცია

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამო მაიაკოვსკის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციისათვის და დაამტკიცა ღონისძიებანი ამ დადგენილების განსახორციელებლად. პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს ამ უახლოეს პერიოდში მაიაკოვსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობას ტფილისის ყველა ძირითად წარმოება-დაწესებულებაში და საქართველოს შემდეგ ქალაქებში: ქუთაისში, ბაღდათში, ბათომში, სტალინირში, სოხუმში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ზუგდიდში, თელავში, გორში, ხაშურში და ფოთში.

○ ○ ○

მწერალთა კავშირმა უკვე გაშალა მუშაობა მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ფართო მასებში პოპულარიზაციისათვის. გამოყოფილია მომხსენებელთა კადრები—ფაბრიკა-ქარხნებში და სასწავლებლებში მოხსენებებისა და საუბრების ჩასატარებლად.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში, პარტკომკავშირის ორგანიზაციების ღია კრებაზე მოსმენილ იქნა ბეს. ჟღენტის მოხსენება „მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ". კრებას დაესწრო 300-დე კაცი, მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრეები აძლევდენ მომხსენებელს უამრავ შეკითხვებს რევოლუციის უდიდესი პოეტის შემოქმედებისა და მისი პირადი ცხოვრების შესახებ.

ასეთივე მოხსენება ჩაატარა ალ. არსენიშვილმა სატყეო ინსტიტუტში.

# მისალმება

## ვალერიან გაფრინდაშვილი

გათავხედებულ ფაშიზმის კერპი
კიდევ ზეიმობს შავი სვასტიკით,
რკინით ნაჭედი იმისი ტერფი
სთელავს ქვეყანას მეტ სისასტიკით.

სისხლით, მუქარით და ცბიერებით
თავისუფლება მოსპო აზრისა,
პოეზიის და მეცნიერების
მან ყვავილები ყველა გასრისა.

მაინც არ ეკვრის ნისლი მწუხარე
პროლეტარების შეზღუდულ ფიქრებს.
შილლერისა და კარლ მარქსის მხარე
ახალ ბრძოლისთვის ძალღონეს იკრებს.

თუმც შხამიანი წრე შემორკალა
მრავალკანიან ფაშიზმის გველმა,
არ დალეულა მუშებში ძალა
და ტყვეობაში მხნედ არის ტელმან.

მწამს: დიმიტროვის სიტყვა გმირული
იქნება ბრძოლის კვლავ გამომწვევი.
მუშათა კლასი კლდეთ დაკირული
ჯურღმულებიდან ამოვა ზევით.

ეით ბირნამის ტყე, ხალხი წამოვა,
დღეს თითქოს უტყვი, თითქოს უძრავი,
რომ ჯალათების ბრწყინვალე ხროვა
შემუსროს კიდევ შეუმუსრავი.

დამწვარ წიგნების ფერფლი გრძნეული
ზღაპრულ ფენიქსის ფრთებს გამოისხამს,
რომ ამეტყველდეს ხმააწეული
მინეზინგერი ახალ დროისა.

მტერი იმეტებს ხალხს მოსაკლავად,
მტერი ვერაგი, ულმო და ფლიდი,
მაგრამ პირგაშლილ მაღალ ვარსკვლავად
მოსჩანს საბჭოთა კავშირი დიდი;

სად ხალხთა ბედი დღეს იჭედება
ნათელ მომავლის ნათელი გზებით,
სადაც დამყარდა შემოქმედება
სტახანოველთა ვაჟკაცურ გზნებით:

სადაც ქვეყანა და ველ-მინდორი
ჰყვავის ბრძოლების ოფლით ნათესი.
და მიღწევათა მძლე საწინდარი
არის ბელადი უბელადესი.

რევოლუცია, შენ მოზვავდები,
როგორც გრიგალი, ცეცხლი და ტყვია!
შენს გამარჯვების სწორი თავდები
„კომუნისტური მანიფესტია"!

სისხლიან დროშით ლიბკნეხტის ჩრდილი
წინ გაუძღვება ძველ ამხანაგებს,
და ამბოხება ხმალამოწვდილი
ნიბელუნგების დასცემს ბანაკებს.

ურიცხვი ტალღა მეამბოხეთა
რისხვას მიიტანს სასახლეებზე,
ფრეილიგრატის სული მოხეტე
რომ არ გმინავდეს წარსულ დღეებზე;

რომ არ სტანჯავდნენ შრომას სასტიკად,
სხვისი არ იყოს ის მოსამკალი,
და შეიცვალოს შავი სვასტიკა
სახელოვანი ჩაქუჩ-ნამგალით;

რომ კომუნიზმის დროშამ დაფაროს
ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა!
და გერმანია მთლად გადაბაროს
გამობრძმედილმა ბრძოლებში მუშამ.

რევოლუცია, შენ მოზვავდები,
როგორც გრიგალი, ცეცხლი და ტყვია!
შენ გაიმარჯვებ! ამის თავდები
„კომუნისტური მანიფესტია"!



შოთა რუსთაველის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსისათვის მთავრობის კომისიაში წარდგენილია 15-დე პროექტი. პროექტები მიღებულია საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეებიდან.

ჩვენი გაზეთი ათავსებს რა ერთერთი პროექტის სურათს, შემდეგშიაც სათანადო კომენტარიებით დაბეჭდავს თვალსაჩინო პროექტების სურათებს.

# „ვეფხის-ტყაოსანი" მიკროფონთან

შოთა რუსთაველის მომავალ იუბილეს მომზადებული უნდა შეხვდეს საქართველოს რადიო-გადაცემის კომიტეტიც. ამ მხრივ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

ლიტერატურულ-დრამატიულ გადაცემათა სექტორმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მრავალ საინტერესო გადაცემას.

რა არის მთავარი? შოთა რუსთაველს საქართველოში იცნობს დიდი და პატარა, რომელნიც სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ მის სახელს. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ მრავლად მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც რუსთაველის პოემას ან ზერელედ იცნობენ, ან სრულიად არ იცნობენ. მართალია, „ვეფხის-ტყაოსანის" ტექსტი დიდად არ განსხვავდება ახალი ქართულისაგან, მაგრამ განსხვავება მაინც არის და ეს აბრკოლებს ზოგიერთს ორიგინალის კითხვაში. განსაკუთრებით ითქმის ეს ახალგაზრდობაზე. რუსთაველის ენა თხოულობს დაკვირვებულ კითხვას არა მარტო იმისათვის, რომ საჭიროა მისი ენობრივი და სტილისტური სიძნელეების დაძლევა, არამედ იმისთვისაც, რომ რუსთაველის სტრიქონები დატვირთულია ღრმა აზრებითა და ემოციური შინაარსით.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა დავიწყოთ მუშაობა იმისათვის, რომ გავაღვივოთ რუსთაველის პოემის წაკითხვის ინტერესი: დავეხმაროთ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც უჭირთ ტექსტის დაძლევა, ფართოდ და პოპულარულად განვმარტოთ მისი ცალკე ადგილები, გავაშუქოთ პოემის მსოფლმხედველობა და საინტერესო პრობლემები რუსთველოლოგიის სფეროდან.

ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ ამ ხაზით.

რადიო-გადაცემის გეგმა ითვალისწინებს საუბრებისა და ლექციების ციკლს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რუსთველოლოგიის საკითხების გაშუქება, ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა რუსთველამდე და რუსთაველის შემდეგ და პოემის ტექსტუალური ანალიზი.

რა თქმა უნდა, ამ მუშაობას მაშინ მიეცემა ფასი და წონა, თუ იგი მცოდნე სპეციალისტების მონაწილეობით იწარმოებს. მიკროფონთან უნდა გამოვიდნენ საუკეთესო სამეცნიერო და სალიტერატურო ძალები, ყოველი საკითხი უნდა გაშუქდეს ამომწურავად და, რაც მთავარია, ყველასთვის გასაგებად.

შემდეგი საკითხია „ვეფხის-ტყაოსანის" გაცნობა არაქართველი მოსახლეობისათვის. აქ დიდი მუშაობაა მოსალოდნელი.

ტფილისის სადგურს ისმენენ არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირშიაც. რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდრეობა მთელი ჩვენი კავშირის მშრომელთა საკუთრებას წარმოადგენს და ტფილისის რადიო-სადგურს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ამ მემკვიდრეობის გადასატანად მასებში.

რადიოს გეგმა ითვალისწინებს მრავალ გადაცემას არაქართველი მოსახლეობისათვის. საჭიროა მოეწყოს მოკლე საუბრები რუსთაველის ვინაობაზე და მისი პოემის მნიშვნელობაზე, თარგმანების მხატვრული კითხვა და მათი ანალიზი მსოფლიო ლიტერატურის ფაქტებთან შეფარდებით.

ჩვენი ვალია დიდი ადგილი დავუთმოთ რადიო-კომიტეტის გადაცემებში ისეთ საუბრებსა და ლექციებს, რომლებიც გააშუქებენ რუსთაველის პოემას მსოფლიო ასპექტში.

აქ ერთი დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.

რუსთაველის პოემას ჯერჯერობით არ ჰყავს დეკლამატორი. ეს აზრი გადაჭარბებული როდია. ჩვენი აქტიორები და პოეტები რუსთაველის პოემას კითხულობენ იმ ჩვეულებრივი ტრაფარეტით, რომლითაც იკითხება ყოველი ლექსი. რუსთაველის ლექსის მელოდიკა ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი.

ამით არის გამოწვეული ის, რომ **საქართველოს რადიო აწყობს რუსთაველის პოემის დეკლამატორთა ოლიმპიადას.**

ოლიმპიადამ უნდა გააცხოველოს ინტერესი პოემის დეკლამაციისადმი, დააფიქროს დეკლამატორები რუსთაველის შაირის რიტმზე და მელოდიკაზე, შექმნას „ვეფხის-ტყაოსნის" მკითხველთა კადრი.

რადიო-კომიტეტის ცენტრალური მხატვრული გადაცემა იქნება პოემის სრული სამკარიანი მონტაჟი, რომელიც გააკეთა პოეტმა **კონსტანტინე ჭიჭინაძემ.**

ამჟამად სწარმოებს მონტაჟის მუსიკალური გაფორმება და მისი რეპეტიციები.

გარდა ამისა, მზადდება რამდენიმე მცირეფორმიანი გადაცემა, რომლებიც შეიცავენ პოემის ცალკე დამთავრებულ ადგილებს.

რადიო-გადაცემის გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ხალხური ვეფხის-ტყაოსანის გადაცემასაც.

ბ. ლ—ძე.

# მზადება ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის

შემოქმედებითი სამზადისი პროლეტარული რევოლუციის ოცი წლისთავისათვის ჯერ კიდევ არ გაშლილა სათანადო სიღრმით და გეგმიანობით, თუმცა ზოგიერთი მოწინავე საბჭოთა მწერალი ამჟამად უკვე მუშაობს სოციალისტური მშენებლობის და ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე ახალ მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ყველა შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია, და სექციების ბიუროებს ამოცანად დაუსახა სამზადისი ამ დიდი ისტორიული თარიღისათვის. სამდივნოებსა და სექციებს დაევალათ შეისწავლონ თვითეული საბჭოთა მწერლის მიმდინარე შემოქმედებითი მუშაობა და ახალ თემებზე მომუშავე მწერლებს ყოველი მხრივ ხელი შეუწყონ მათი შემოქმედებითი განზრახვის განხორციელების საქმეში. სექციებმა სისტემატიურად უნდა მოაწყონ ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის განზრახულ ნაწარმოებთა კოლექტიური კითხვა და მათი ყოველმხრივი განხილვა მანამდე, ვიდრე ნაწარმოების წერა დამთავრდებოდეს.

პრეზიდიუმმა მოიწონა მწერლების წინადადება დაიწეროს კოლექტიური მხატვრული ნაწარმოები კოლხიდის მშენებლობის თემაზე და მასზე მუშაობის მსურველ მწერალთა კოლექტივის ჩამოყალიბება მიანდო სამდივნოს.

# აჭარის მწერალთა კავშირში

მაისის შუა რიცხვებში აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის სახლში გაიმართა ფართო დისკუსია ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ ლიტერატურაში. დისკუსიას მწერლების გარდა ესწრებოდნენ მხატვრები, ლიტწრეების წევრები, პედაგოგები და სხვა. დისკუსია გახსნა აჭარის განათლების სახ. კომისარმა ამხ. ი. ქათამაძემ.

მოხსენება ზემოაღნიშნული თემის გარშემო წაიკითხა ბ. ელენტმა. თანამოხსენებით აჭარის მწერალთა და მხატვართა მუშაობის შესახებ გამოვიდა აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე ამხ. დ. დუმბაძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს პ. ლორიამ, შ. იოსელიანმა, თ. აბაშიძემ, ა. ადამიამ, კ. კანდელაკმა, ჩხობაძემ, ქავთარაძემ და სხვა. დისკუსია გაგრძელდა ორ დღეს. დისკუსიის დასასრულ სიტყვით გამოვიდა პანტელეიმონ ჩხიკვაძე.



# აკოფ აკოფიანი

აკოფ აკოფიანი, სომხეთის პროლეტარულ მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს მიმდინარე წელს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა (დაბ. 1866 წ.). მან განათლება მიიღო სომხურ სამასწავლებლო სემინარიაში. ლექსების ბეჭდვა დაიწყო წარსული საუკუნის 90-იან წლებში.

1905 წელში აკოფიანის პოეზია ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მუშათა კლასს. რეაქციის პერიოდის ლექსებში იგი აძაგებს რევოლუციის პოზიციებიდან გაქცეულთ და მოუხმობს მუშათა კლასს ახალი ბრძოლებისაკენ.

იმ დროინდელი სომხეთის ნაციონალისტურ და დაცემულობის პოეზიის წინააღმდეგ მისი შემოქმედება გამსჭვალული ყო ინტერნაციონალური და რევოლუციური სულისკვეთებით.

ფორმის მხრივ მისი ლექსი სადაა. მასში სჩანს რუსეთის კლასიკოსებისა და სომეხ აშუღების ლირიკის გავლენა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მისი შემოქმედების მთავარი თემატიკაა სოციალისტური მშენებლობა.

სომხეთისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით, მას მიეკუთვნა სახალხო პოეტის სახელწოდება.

სახელგამი მოკლე ხანში სცემს მისი [illegible] ახალ წიგნს ქართულ ენაზე

**ძვირფასო აკოფ აკოფიან!**

საბჭოთა საქართველოს მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან სოციალისტური კულტურის დაუღალავ მებრძოლს დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

თქვენ ხართ ერთერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანი სომხური პროლეტარული პოეზიისა. ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა მშრომელ მასებს შორის თქვენ მოიპოვეთ ფართო პოპულარობა და სიყვარული.

გისურვებთ პოეტსა და ბოლშევიკს ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას. დაე, მუშათა კლასის საბრძოლო პათოსით გაჟღენთილი შენი სიმღერა მომავალშიაც აღფრთოვანებდეს მშრომელ ხალხს ახალ-ახალი გამარჯვებისათვის და კვლავინდებურად აღვივებდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას.

**საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.**

# ქუთაისში მცხოვრებ მწერლების მუშაობის გაძლიერებისათვის

უკანასკნელ წლებში ქუთაისელმა მწერლებმა შესამჩნევად გააძლიერეს შემოქმედებითი აქტივობა. მაგრამ მათ საქმიანობას დიდად აბრკოლებს ის გარემოება, რომ არა აქვთ საკუთარი ლიტერატურული ორგანო და საკმაოდ ვერც ტფილისის ლიტერატურულ გამოცემებში იბეჭდებიან. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო ეს მხედველობაში და სადირექტივო ორგანოების წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას ნება მიეცეს გამოსცეს ორთვიური სალიტერატურო ჟურნალი. ამასთან პრეზიდიუმმა „ფედერაციას" დაავალა მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანოს **დ. თომაშვილის** და **დია ჩიანელის** წიგნების გამოცემა. ტფილისის მხატვრულ ორგანოებს ევალებათ გააძლიერონ ქუთაისელ მწერალთა ნაწარმოების ბეჭდვა და ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების სისტემატიური გაშუქება.

# „როგორ იწრთობოდა ფოლადი"

## ბენიტო ბუაჩიძე

საბჭოთა მწერლობას ბევრი კარგი წიგნი აქვს. ბევრი მათგანი გადაიქცა მილიონების საყვარელ წიგნად. მაგრამ მაინც თითზე ჩამოსათვლელია ისეთი წიგნები, როგორიც არის ნ. ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი", რომელიც რამდენიმე წელიწადში უფართოეს მასების საყვარელი წიგნი გახდა. იგი უკვე ითვლის არამც თუ ასეულ, არამედ მილიონიან ტირაჟებს, ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე და ითარგმნება ევროპის ენებზედაც. „როგორ იწრთობოდა ფოლადს" კითხულობენ მკითხველთა მრავალნაირი ფენები: კომკავშირელნი, მუშები, კოლმეურნენი, მთელი ახალგაზრდობა. ისინი, ვინც წერა-კითხვა ეხლახან ისწავლეს და განსწავლული მეცნიერნიც. წიგნი, ყველა ამ მკითხველთა გრძნობებს იმორჩილებს. ყველას აღელვებს, აღფრთოვანებს და აყვარებს თავს. „როგორ იწრთობოდა ფოლადი" არ არის კლასიკურად სრულყოფილი ნაწარმოები. მასში მტკიცე და თვალსაჩინო არ არის მხატვრული ოსტატობის დიდი კულტურა. ეს ეტყობა მასალის დალაგებას, კომპოზიციას, მხატვრული დეტალების ზუსტ გამოყენებას, რამოდენადმე ტიპების ჩამოყალიბების რთულ პროცესსაც. მიუხედავად ამისა წიგნი მაინც არის აყვანილი მხატვრული ლიტერატურის რთულსა და მაღალ ხარისხზე. ის უაღრესად საინტერესოა როგორც ლიტერატურულ-მხატვრული მოვლენაც.

რატომ გაიმარჯვა აღნიშნულმა რომანმა, რატომ ჰპოვა ამ წიგნმა ისეთი რეზონანსი, რომელიც საოცნებოა მრავალ საბჭოთა მწერლისათვის? რა არის თვალსაჩინო, ახალი და გამორჩეული ამ წიგნში?

ეს საკითხები საბჭოთა მწერლობისათვის დიდ ინტერესს შეიცავენ. თვითეული წელი საბჭოთა მწერლობას ხალსა და ახალ თვისებებს ჰმატებს. ბევრი მათგანი მომავალში გახდება მთავარი და არსებითი მნიშვნელობის მქონე. საბჭოთა მწერლობის ახალი თვისებები და ახალი ხარისხი იქმნება და მტკიცდება არა მარტო უკვე ჩამოყალიბებული და ათეული წლების შემოქმედებითი სტაჟის მქონე მწერლების მიერ. მწერლობაში მოდის ახალი ხალხი და სტიქიურად მოაქვს ის, რაც აკლია ჩვენ მწერლობას, ის, რასაც ელის მკითხველი. ეს არის მხოლოდ ჩვენი მწერლობის ხარვეზების შევსების დაწყება, მისი ჩამორჩენილობის მოსპობის ცდა. აი მოვიდა მწერლობაში გალინა გრეკოვა და გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოები „ბედნიერების შესახებ". [1])

ახალგაზრდა ბოროტმოქმედთა გამასწორებელი კოლონიის ხელმძღვანელმა ა. მაკარენკომ დასწერა წიგნი „პედაგოგიური პოემა". ეს წიგნი ასწერს კოლონიის ცხოვრებას, ბრძოლას, თვით მაკარენკოს მუშაობას, ახალგაზრდა ბოროტმოქმედთა გამოსწორებისაკენ მიმართულს. ა. მაკარენკო მწერლობისათვის უცნობი იყო, მაგრამ მისი „პედაგოგიური პოემა" არის უკანასკნელი წლების საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი. აუღელვებლად და დაძაბული ყურადღების გარეშე არ შეიძლება ამ წიგნის წაკითხვა. ა. მაკარენკომ შესძლო პატარა ბოროტმოქმედთა გაჯანსაღების ისტორია გადმოეცა უდიდესი ექსპრესიით, სიმართლითა და მახვილი მხატვრული ალღოთი; როგორც გრეკოვას „ბედნიერება", ისე მაკარენკოს „პოემაც" სადაა, ნათელია; მათში მოცემულია **ადამიანი**, მთელი თავისი სიღრმით და მრავალმხრივობით. ეს კი არის მწერლობის ძველთაძველი და მუდამ უახლესი ამოცანა. ბევრი დახელოვნებული ოსტატის ნაწარმოებს აკლია ის ლირიკა, სითბო, უდიდესი სიყვარული, რომელიც აქვს „პედაგოგიურ პოემას". მაკარენკო არამც თუ მცოდნეა მასალისა, არამედ თვით არის მონაწილე თავის „პოემის" შექმნისა. მთელი მისი შემოქმედებითი ენერგია ამ ცხოვრების პოემის შექმნაშია ჩაქსოვილი; მისი სიყვარული, უშუალობა, ამოცანები ამ პოემითაა წარმოშობილი. სიყვარული თავის გმირებისადმი, ადამიანის ბუნების ცოდნა, არსებითის გამორჩევის უნარი ხდის მწერლობაში უცნობი ავტორის წიგნს შესანიშნავ მოვლენად. ბევრია ისეთი მწერალი, რომელიც სწერს წიგნებს, მაგრამ ამ წიგნებში ცხოვრება არ არის, სიყვარული არ არის, ან და ერთისაც და მეორისაც შორეული ანარეკლია. ის წიგნი კი, სადაც ცხოვრების სიღრმე არ იგრძნობა, სადაც უშუალობა, სიყვარული არა სჩანს, მკვდარია. დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურაში ცხოვრების, რევოლუციის ოსტატთა შემოსვლას თავის წიგნებით. ეს ამდიდრებს და წინ სწევს საბჭოთა მწერლობას. მათ მიერ გამომჟღავნებული ახალი თვისებების განზოგადება და გამოყენებაა საჭირო. დიდი ლიტერატურის შექმნას ცხოვრების უშუალო გამოცდილება სჭირია. მასალის ზუსტი ცოდნა და განცდა აუცილებელია. ამ ხაზით საბჭოთა მწერლობაში, ჯერ კიდევ მის განმტკიცების პირველ პერიოდში, დიმ. ფურმანოვმა ბევრი რამ ახალი მოიტანა. ჩაპაევის კომისარი კლიჩკოვი, ეს თვითონ ფურმანოვია. ფურმანოვს არ დასცალდა მხატვრული მწერლობის დიდ ოსტატად ჩამოყალიბება. არც „ჩაპაევი" და არც „აჯანყება" არ არიან ზედმიწევნითი მხატვრული ოსტატობით გაშალაში ნებული. მაგრამ ეს ნაწარმოებნი დიდი ღირებულებისანი არიან და ღრმა შემოქმედებითი უნარს ამჟღავნებენ. საბჭოთა მწერლობის მხატვრულ-ფორმალურ სიმდიდრეშიაც „ჩაპაევი" და „აჯანყება" ახალ პერსპექტივებს შლიან. მებრძოლი მწერლის ფურმანოვის შემოქმედების ცხოველმყოფელობამ ათ წელიწადს ისე გაუძლო, რომ უფრო გაიზარდა მისი წიგნების მნიშვნელობა, აქტუალობა და ღირებულება. „ჩაპაევი" და „აჯანყება" რჩებიან პროლეტარული მწერლობის სამაგიდო წიგნებად.

ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი"-ს წინაპარი ფურმანოვის წიგნებია. აქ უშუალო ლიტერატურულ გავლენაზე და ნათესაობაზე არ არის ლაპარაკი. არა. ამ მწერლების ერთგვარმა შემოქმედებითმა ბიოგრაფიამ დაანათესავა ეს წიგნები ურთიერთს. აქ ერთნაირია თავის წიგნების მასალასთან ძომქმედი კავშირი, ავტობიოგრაფიული ელემენტი. ერთგვარივეა ამ მწერალთა წიგნების გამარჯვების საფუძველი. ამჟამად ჩვენ ხაზს ვუსვამთ ხოლოდ მას, რაც აერთებს ამ წიგნებს და არ ვჩერდებით იმ უპირატესობებზე, რომელიც აქვს დ. ფურმანოვის შემოქმედებას.

ერთგვარია დ. ფურმანოვისა და ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებთა არსებითი ხაზიც. ეს არის **კომუნისტური ხასიათის**, თუ გნებავთ კომუნისტური მორალის გამოკვეთა, ჩვენება. „ჩაპაევში", „აჯანყებაში", „როგორ იწრთობოდა ფოლადში" კომუნისტური ხასიათი, კომუნისტის სახე იკვეთება და დეტალურად მჟღავნდება რევოლუციონურ საქმიანობაში, სამოქალაქო ომების ფონზე. ჩაპაევის კომისრის—კლიჩკოვის (იგივე ფურმანოვის) ხასიათი, მისი მოქმედების კომუნისტური, ახალი თვისებები, ნაჩვენებია ჩაპაევთან დამოკიდებულებაში. ლეგენდარული ჩაპაევის გლეხურ-ანარქისტული საწყისები პარტიამ კომუნისტური სიმტკიცის ფოლადად და რევოლუციურ გმირობად გადაადნო. ეს მოხდა ცოცხალი, კომუნის ადამიანების საშუალებით. ასეთი კომუნისტის სახე შექმნა მწერალმა ფურმანოვმა. რაოდენ სიმტკიცეს, ადამიანის ბუნების ცოდნას, გამძლეობას იჩენს ფურმანოვ-კლიჩკოვი ჩაპაევთან დამოკიდებულებაში. ფურმანოვის სიტყვა აჯანყებულთა წინაშე,—რომლის ხასიათმა, თვითეულმა ჟესტმა, მოქმედების სიზუსტემ, ცალკეულმა სიტყვებმა გადასწყვიტეს აჯანყებულთა გზა,—ეს არის შედევრი კომუნისტური ხასიათის, ტიპის გამოკვეთის დიდ საქმეში. ასეთ ძუნწ შტრიხებში ფურმანოვი ახერხებს გაშალოს უდიდესი სიღრმე და სიმდიდრე კომუნისტური ხასიათისა. მისი ნაწარმოებნი ეპოპეაა. თავდადების, უძლიერესი ნებისყოფის, ულრმესი კომუნისტური იდეურობისა.

ნიკ. ოსტროვსკის—პავლე კორჩაგინის მოქმედება, მისი ბუნება მოცემულია როგორც კომუნისტური ხასიათის, კომუნისტური მორალის მონოლიტობა. მწერალმა ცოცხალი ადამიანის, მებრძოლი კომკავშირელის ბიოგრაფიის გადმოშლით გვიჩვენა თუ ცხოვრების პრაქტიკაში რას ნიშნავს: „მიზნის გარკვეულობა, შეუპოვრობა მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის სიმტკიცე, რაც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევს" (სტალინი).

ოსტროვსკის, როგორც დამსახურება მასშია, რომ მან გვიჩვენა, თუ როგორ იქმნებოდა ასეთი მონოლიტურ-კომუნისტური ხასიათის კორჩაგინი და მასთან ერთად როგორ იწრთობოდა ფოლადად კომკავშირის მთელი მებრძოლი თაობა. მარქსი სწერდა იმის შესახებ, რომ რევოლუციის პრაქტიკაში თვითონ მუშებიც განიწმინდებიან ძველი საზოგადოებრივი წუმპისგან.

„როგორ იწრთობოდა ფოლადში" უფართოესი ეპოპეაა გადმოშლილი: სამოქალაქო ომების, რევოლუციის დამარცხებისა და მისი საბოლოო გამარჯვების. ეს ბრძოლაა რევოლუციის ოსტატთა გამომწრთობი სამჭედლო. ნ. ოსტროვსკი გვიჩვენებს თუ კლასობრივ ბრძოლებში, ომში, ოკუპაციების გარემოცვაში, თეთრების ბანდათა თარეშის დროს, რევოლუციის მზადებისა და გაშლის უმძიმეს წლებში როგორ ბოლშევიკდებოდა მუშათა უფართოესი ფენები, როგორი ბუნებრივი აუცილებლობით მიდიოდნენ ისინი კომუნისტურ პარტიასთან. მკითხველი მომზადებულია და წიგნის გმირებთან ერთად განიცდის უდიდეს სიხარულს, როდესაც ძველი მუშები, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შედიან პარტიაში. როგორც საერთოდ, ისე ამ ფაქტშიც ბუნებრიობა და უდიდესი დამაჯერებლობაა მთავარი. მწერალმა პარტია გვიჩვენა არა მარტო ძველი გამობრძმედილი ბოლშევიკების სახით, (მეზღვაური ჟუხრაი) არამედ გადაგვიშალა აგრეთვე მისი უფართოესი დასაყრდენი და ახალი ძალების მარაგი, მუშათა ახალი და ახალი ფენები. პარტიის უძლეველობისა და გენიალური სიდიადის ამ პროცესთან შედუღებულია მშრომელი ახალგაზრდობის მოძრაობა. აქ იშლება ოსტროვსკის წიგნის მრავალნაირი ფენები. პავლე კორჩაგინში ავტორის ბიოგრაფიაა მოცემული, მაგრამ არა მხოლოდ ეს. განზოგადება და ტიპიური მხარეების და ფაქტების შერჩევა ნ. ოსტროვსკისათვის უცხო არ არის.

პავლე კორჩაგინი ტიპიური მუშა-კომკავშირელია. მუშის ოჯახში აღზრდილი, ბავშვობიდანვე რევოლუციაში ჩაბმული, ბრძოლის ყველა საფეხურის უშუალო მონაწილე, სამეურნეო აღმშენებლობის ენტუზიასტი. ასეთ რთულ პირობებში გამოიჭედა პავლე კორჩაგინის ხასიათი, ბუნება. პავლე ღრმა და რელიეფურად მოხაზული ინდივიდუალობის მქონეა. ის სახელოვანი კომკავშირის შესანიშნავი წარმომადგენელია. ოსტროვსკი-კორჩაგინი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის საყვარელი გმირია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში განსახიერებულია გმირული ბრძოლების ტრადიცია, მებრძოლი ახალგაზრდობის თვისებები, —რევოლუციისათვის თავდადება, სიმამაცე, იდეურობა. „როგორ იწრთობოდა ფოლად"-ში პავლე კორჩაგინთან ერთად, მუშა-კომკავშირელთა მრავალი წარმომადგენელია განსახიერებული. ეს არის მთელი პირველი თაობა სახელოვანი კომკავშირისა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდა რევოლუციისათვის და რომლის მრავალი წევრიც ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. პარტიის გენიალური ისტორიული სიდიადეა განფენილი იმ სახეებში და საქმეებში, რომელთაც აგვიწერს ნ. ოსტროვსკი. რუსულ საბჭოთა ლიტერატურას კომკავშირელის ბევრი სახე აქვს შექმნილი, მაგრამ „როგორ იწრთობოდა ფოლადი" პირველი წიგნია, სადაც ყველაზე სრულად, მრავალმხრივად არის მოცემული მებრძოლი ახალგაზრდობა. უშუალობა, ბუნებრიობა, სიმართლე ასულდგმულებს კომკავშირელ ადამიანების იმ სურათს, რომელსაც დაჯერებული ოსტატობით ხატავს ნ. ოსტროვსკი. მწერალი თავის თავსა და თავის ამხანაგებს ხატავს, გადმოგვცემს იმ ამბებს, რომელთა მონაწილე ის იყო. მისი წიგნი ცხოვრების ანარეკლი კი არ არის, არამედ უშუალო ცხოვრებაა. ამიტომა აქვს ასეთი დიდი მხატვრული და იდეური ძალა იმ განცდებს, რომელთაც შლის ნ. ოსტროვსკი. ამიტომ აისახა ცოცხლად, სრულ-ყოფილად ნ. ოსტროვსკის წიგნში კომკავშირის ცხოვრება. ბრძოლა, მისი კომიტეტები, უჯრედები, გმირები, მებრძოლი ბათალიონები, სამოქალაქო და სამეურნეო ფრონტის ბრიგადები.

ნ. ოსტროვსკის წიგნში უმძაფრეს დრამატიზმის სიმაღლემდეა აყვანილი ბრძოლაში დაღუპულ კომკავშირელების სახეები. წარუშლელია იმ ჯერ კიდევ ნორჩ კომკავშირელ გოგონათა სახეები, რომელნიც თეთრგვარდიელმა ბანდიტებმა აწამეს. ნათელია თვითეული ფაქტის გმირული სიდიადე. აი, მშიერ-ტიტველ კომკავშირელთა არმიას რკინის გზის ლიანდაგი გაჰყავს ტყისაკენ. ისინი მუშაობენ ბანდიტთა ტყვიების გარემოცვაში; ბევრ მათგანს დაღუპვა მოელის, მაგრამ მაინც მუშაობენ, რადგან ქალაქი უნდა გადაარჩინონ სიცივისა და სიმშილისაგან განადგურებას. კომკავშირის პირველი თაობის გმირული ბრძოლის ოსტროვსკისებური სიძლიერით გადმოშლა ამ წიგნის მკითხველს მომავალი ბრძოლებისათვის ამზადებს, აწრთობს, აფრთოვანებს. ამიტომაა, რომ ოსტროვსკი-კორჩაგინმა ბოლომდე გაიმარჯვა.

ბრძოლებში მტერმა ოსტროვსკის, მისი გმირის მსგავსად, თოფის კონდახით ხერხემალში სასიცოცხლო ნერვი ჩაუწყვიტა. რამდენიმე წლის შემდეგ კორჩაგინი მებრძოლთ რიგებს გამოაკლდა. დაკუტულს, ბრმას, უმოძრაოს, ნათელი თავი და შეგნება-ღა დარჩა, მაგრამ მიზნის სინათლემ, ნებისყოფამ აქაც თავისი გაიტანა და მტერს სძლია. იგი სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა; ბრძოლის ახალ იარაღს მიმართა და ამაღელვებელი მხატვრული წიგნი დასწერა. ეს წიგნი იბრძვის რევოლუციის ინტერესებისათვის მტრის წინააღმდეგ. ეს არის კომუნისტური ხასიათის სიმტკიცის შესანიშნავი მაგალითი, ტრაგიზმის დაძლევა და მოხსნა. ასეთი მაგალითი და ბრძოლებში დაღუპულთა სახეები კიდევ უფრო აფოლადებენ სოციალიზმის დამკვიდრებისათვის მებრძოლთა ნებისყოფას. ეს იმიტომ ხდება, რომ ნ. ოსტროვსკის წიგნი გახათებულია რევოლუციის მსოფლიო ისტორიული ამოცანების პროჟექტორით.

კომკავშირელთა ტიპების გამოკვეთის სისრულე, სისადავე დიდ ძალას ჰმატებს ნ. ოსტროვსკის წიგნს. **ი. ერენბურგის** კოლკა რჟანოვი („მეორე დღე"), მისივე გენკა და სხვ. („სულმოუთქმელად"), როგორც კომკავშირელთა ტიპები შესანიშნავი არიან. ი. ერენბურგის ღირსებაა, რომ ის დიდი სითამამით და მონდომებით ცდილობს შექმნას კომკავშირულ ახალგაზრდობის სახეები. მას ახასიათებს მახვილი უნარი მასალის მძაფრი განათების, ახალის შემჩნევის; დამახასიათებელია — ცალკეული დეტალების გამორჩევა, ოსტატური შტრიხები, მაგრამ მის კომკავშირელებს, შინაგანი მთლიანობის, ტიპიურობის, სისრულის ხაზით ბევრი რამ აკლიათ. კოლკა რჟანოვი უფრო შორიდანაა დანახული, უფრო წარმოდგენილია და გაუბრალოებული, პავლე კორჩაგინი კი შექმნილია როგორც ცოცხალი, ქანდაკებასავით გამძერწილი მთლიანობა, თავიდან ბოლომდე დამაჯერებელი, მართალი, ღრმა, უმდიდრესი შინაარსის მქონე, დიდი ადამიანობის მატარებელი.

თავის გმირებისადმი სიყვარული, დიდი იდეურობა, უშუალობა, სისადავე, რევოლუციონური ცხოვრების შესანიშნავი მასალა და ამ მასალის უაღრესი ცოდნა და მხატვრული სიმართლით განცდა — აი ყველა ის პირობები, რომლებმაც ასეთი დიდი გამარჯვება არგუნა ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადს".

ამ შესანიშნავი წიგნის გამარჯვება ქართულმა საბჭოთა მწერლობამაც უნდა გამოიყენოს, როგორც საერთო გამოცდილება. ეს უნდა მოხდეს საქართველოს კომკავშირულ ახალგაზრდობის ბრძოლის ასახვის გაღრმავებით.

საქართველოს სახელოვან კომკავშირს დიდი მებრძოლი ტრადიციები აქვს. ჩვენი კომკავშირი ელის უფრო ფართო და უფრო ღრმა ტილოებს, ვიდრე ეს დღემდეა მოცემული.

ნ. ოსტროვსკის წიგნის გამარჯვება საყურადღებოა არა მარტო კომკავშირის ასახვის ხაზით, არამედ საერთოდ მან კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ აუცილებელია სოციალიზმისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და მუშაობაში მონაწილეობა და დიდი სიყვარული ახალი ადამიანებისადმი, მათი ცოდნა.

შემოქმედებითი გამარჯვება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.

[1]) მე-XVII წელი. ალმანახი მეექვსე. 1935.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არსენა“ რუსთაველის თეატრში

[illegible]



ს. შანშიაშვილი

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობაში გამოკვეთა იმდროინდელ სოციალურ უთანასწორობათა წინააღმდეგ აბობოქრებული გლეხობის ეს ტიპური სახე. ილია ჭავჭავაძის პოემის „კაკო ყაჩაღი“-ს გმირთა რეპლიკებში ვხვდებით არსენას მკვეთრ დახასიათებას, როგორც ბატონ-ყმური ურთიერთობის პირობებში უკიდურესად შევიწროებულ და წელში გატეხილ გლეხკაცობის იდეალური მოსარჩლისა. დიდმა ქართველმა რომანისტმა ალექსანდრე ყაზბეგმა რომანტიულ-რაინდულ ფერადებში დახატა არსენა. არსენას პიროვნებისა და მის გმირობათა მასალებზე აშენდა ქართული საბჭოთა ბელეტრისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში — მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“. აქ უკვე ჩვენ საქმე გვაქვს ფართო სოციალურ ეპოსთან, რომელიც რეალისტური სიმძაფრით გვიხატავს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მეტად მდიდარსა და მრავალფეროვან ეპოქას იმდროინდელი სოციალური ფენების ურთიერთობისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ საფუძვლიან გარდატეხათა მხატვრული განსხეულებით.

ქართული საბჭოთა თეატრის მაყურებელს არ დაავიწყდება ის მომხიბლავი, მახვილი გემოვნებით შესრულებული სცენიური სანახაობა, რომელიც შექმნა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა „არსენა“-ს სპექტაკლის სახით. მაგრამ მარჯანიშვილის ეს საინტერესო დადგმა წარმოადგენდა ხალხური „არსენას“ ლექსის სცენიურ ილუსტრაციას. ამ დადგმაში უკიდურეს[illegible] გამოხატულება ჰპოვეს მარჯანიშვილის თეატრალური ესთეტიზმის პრინციპებმა, რის გამოც არსენას, როგორც ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ამ-

[illegible]

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. წარმოდგენა მიმდინარეობს მაყურებელთა განუწყვეტელი და შეუნელებელი რეაქციის პირობებში, სპექტაკლი მძლავრ ემოციურ ზეგავლენის უნარით ხასიათდება და მაყურებელ მასების შეგნებაში ღრმად ნერგავს და აღვივებს რევოლუციური ენტუზიაზმის გრძნობას.

ყურადღების ცენტრში დაყენებულია ღარიბი გლეხ-კაცობის მდგომარეობა. დეგენერაციის გზაზე შემდგარი ფეოდალური არისტოკრატია უფრო და უფრო მეტის სისასტიკით ავიწროვებს გლეხობას. ამას ერთვის მონარქიული რუსეთის მოხელეთა თავაშვებული თარეში: ეგზეკუციები, ბეგარა, დარბევა, ყოველგვარი შეურაცხყოფა და დამცირება. მხატვრული ზომიერებით, რეალური და დამაჯერებელი ფერებით გვიხატავს თეატრი გლეხობის იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდა და გაუარესდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის უკანასკნელ წლებში.

ასევე რელიეფურად გამოხატულია ფეოდალური არისტოკრატიის იმდროინდელი ვითარება. ცოცხლად და მახვილად შესრულებული ტიპაჟის მთელი გალერეა გვიჩვენებს ამ წოდების დაკნინებისა და გადაგვარების უტყუარ სურათს. ერთის მხრივ სრული მორალური დაცემა, გლეხობისადმი უდიერი და არაადამიანური დამოკიდებულება, მეორე მხრივ მოხარქიული რუსეთის „ისპრავნიკებისა“-დმი მონური მორჩილება. წარმოდგენაში ნაჩვენებია თუ როგორ გაყიდა ქართულმა თავად-აზნაურულმა არისტოკრატიამ ჯვარსა და მენდლებზე თავისი ქვეყნის ინტერესები და მეფის მოხელეთა, „მოწყალების“ მოლოდინში, როგორ გადაიქცა იგი ოკუპანტების ხელში სათამაშო ტიკინად.

მესამე ძალა, რომელსაც ვხედავთ ამ წარმოდგენაში, ეს არის თვითმპყრობელური რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლები. სცენაზე ნაჩვენებია მთელის სისწორით და ისტორიული ობიექტურობით ის ველური ფორმები და მეთოდები, რომლებითაც ლაშობდნენ მეფის „სატრაპები“ დაემორჩილებინათ დაპყრობილი ხალხი. ამგვარად წარმოდგენაში სწორი გამოხატულება ჰპოვა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადმა ძალამ. და დრამის მთელი განვითარება აგებულია ამ ძალათა ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის გამოსახატავად ტიპიურ, განზოგადებულ თეატრალურ სახეთა მეშვეობით.

პიესისა და სპექტაკლის ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ აგრეთვე გლეხობის ფენებში არსებული ქონებრივი განსხვავება და წინააღმდეგობა. ფარსადანი ტიპიური სახეა გლეხობის კულაკური ფენისა, რომელიც მთელის არსებით უპირისპირდება ღარიბი გლეხობის ინტერესებს და გადაიქცევა მოღალატურ გამცემელ ძალად. ამავე დროს პიესა გვიხატავს სუდაკოვისა და მიტროხინის სახით მეფის ოკუპანტურ ჯარებში არსებული დიფერენციაციის პროცესს. სუდაკოვი წარმომადგენელია დეკაბრისტული ინტელიგენციისა, რომელიც უდიდეს ტანჯვას განიცდის მეფის დამსჯელ ექსპედიციებში მონაწილეობის გამო. მიტროხინი კი, ოკუპანტური არმიის ჯარისკაცი, მისული დაპყრობილი ხალხის ღატაკ გლეხობასთან კლასობრივი სოლიდარობის შეგნებამდე,



რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ამხ. აკ. ხორავა არსენას როლში.

გადადის აჯანყებულთა მხარეზე და აქტიურად ჩაებმება რევოლუციურ ბრძოლაში.

ამ მომენტების ხაზგასმით დრამატურმა და თეატრმა გამოიჩინეს დიდი უნარი ეპოქის სოციალური შინაარსისა და საზოგადოებრივი ძალთა ურთიერთობის სწორი გამოხატვისა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისტორიული თემების დამუშავების დროს.

დრამის განვითარების ცენტრში დგას არსენა. იგი განტვირთულია იმ ჰიპერბოლურ-ლეგენდარული თვისებებისაგან, რომლებსაც მიაწერს არსენას ხალხური ზეპირსიტყვაობა და შესრულებულია რეალისტურად, როგორც ტიპური გამოხატულება ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული ღარიბი გლეხ-კაცობისა. აღსანიშნავია, რომ არსენასა და ბარათაშვილის მოახლე გოგოს რომანის მოტივი გადატანილია მოქმედების მეორე პლანზე, ხოლო არსენას ამხედრება თავად-აზნაურული წოდების წინააღმდეგ დასაბუთებულია სოციალური მიზეზებით. არსენა ხედავს თავის მოძმე გლეხობის უმწეო მდგომარეობას, რწმუნდება თავად-აზნაურული არისტოკრატიისა და მეფის მოხელეთა არაადამიანურ ვერაგობაში. ამიტომ იგი მთელის არსებით შეიზიზღებს იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტს და რაზმავს გლეხკაცობას ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

განვითარების უმაღლეს წერტილს დრამა აღწევს მესამე მოქმედებაში, სადაც თავადებისა და მეფის მოხელეების უკიდურესად ცინიკური და ბარბაროსული დამოკიდებულების გამო გლეხობისადმი, მთელის სიმძაფრით იფეთქებს ამბოხებული გლეხობის სტიქია და არსენა აქ პირველად მთელის ძლიერებით გამოჩნდება როგორც მებრძოლი გლეხობის ნამდვილი მეთაური. აქედან იშლება თავგანწირულ ბრძოლათა ეპოპეა. დიდი ხელოვნებით არის ნაჩვენები ღარიბი გლეხობის თავგანწირულებისა და შურისძიების მთელი სიმძაფრე.

დრამის მთელი განვითარება იმგვარად მიმდინარეობს, რომ მაყურებელი მასა მთლიანად გამსჭვალულია ამბოხებული გლეხობისადმი თანაგრძნობის განცდით, ხოლო ასეთივე ძლიერი ზიზღის გრძნობას აღვივებს პიესა თავადაზნაურობისა და მეფის მოხელეთა ტიპაჟის მიმართ. ამაში მდგომარეობს ამ წარმოდგენის ძირითადი იდეურ-აღმზრდელობითი ღირებულება.

დიდი ექსპრესიით და დინამიურობით ვითარდება სპექტაკლის უკანასკნელი მოქმედება, სადაც ნაჩვენებია გლეხური სტიქიის მთელი განწირულება იმ ეპოქაში, როცა გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას ჯერ კიდევ არ უპოვნია გამარჯვებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული ფორმები, ჯერ კიდევ არა ჰყავს საკუთარი ავანგარდი—რევოლუციური პროლეტარიატის სახით. იღუპება თავგანწირულ მებრძოლთა მეთაური არსენა, მარცხდება ღარიბ გლეხობის ამბოხება მაგრამ პიესის ასეთი ფინალი სრულიადაც არ იწვევს უიმედობისა და სევდიანი გულგატეხილობის გრძნობას. პირიქით ამ ბრძოლებში ნაჩვენები ღარიბი გლეხობის თავგანწირულების გმირული მაგალითები მაყურებელში მხოლოდ საბრძოლო ენტუზიაზმს და ამ თავგანწირულ მეამბოხეთა მიმართ უსაზღვრო სიყვარულის გრძნობებს აღვივებენ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა აკაკი ვასაძემ ამ დადგმაში გამოიჩინა როგორც მომქმედთა სწორი სოციალური ტრაქტოვკის და ეპოქის შინაარსის გამახვილებულად გამოხატვის დიდი უნარი, აგრეთვე უტყუარი შესაძლებლობა დიდი სოციალური დრამის მონოლიტურ მთლიანობაში ჩამოყალიბებისა და სპექტაკლის ყველა კომპონენტის დაქვემდებარებისა პიესის სოციალური მიზანდასახულობისადმი.

წარმოდგენა დამყარებულია მთელი აქტიორული ანსამბლის მაღალ მხატვრულ ოსტატობაზე. მრავალრიცხოვან შემსრულებელთა შორის მაყურებელი ვერ გრძნობს რომელიმე მსახიობის მიერ როლისადმი შეუგნებლად და უპასუხისმგებლო მიდგომას. მიუხედავად ასეთი ანსამბლური მთლიანობისა მაინც არ შეიძლება არ გამოვყოთ რესპუბლიკის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას შესრულება. აკ. ხორავას მიერ განსახიერებული არსენა დარჩება როგორც ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური სახე საერთოდ ქართული აქტიორულ ხელოვნების ისტორიაში. დასრულებულ და დამაჯერებელ სახეს ქმნის აგრეთვე ზაალ ბარათაშვილის როლის შემსრულებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დავითაშვილი. დიდი დაკვირვებით და გულმოდგინებით დაუმუშავებიათ ბარონ როზენის როლი დ. მჟავიას და გონჯა მესტვირეს როლი მ. აფხაიძეს. აქტიორული ანსამბლის პირველ პლანზე გამოსჩანან აგრეთვე დ. ხუციშვილი (პაპა ონისე), გ. საღარაძე (ფარსადან ბოდბისხეველი), სტ. ჯაფარიძე (დიმო) ვ. წულაძე (მიტროხინ), ჩ. მაჩაბელი (ზურიკო).

ქალთა პერსონაჟიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ მ. ჯაჯანაშვილი (ნენო) და თ. თუშმალიშვილი, რომელმაც მთელ რიგ ეპიზოდებში გვიჩვენა მძლავრი არტისტული მონაცემები. უნაკლოა სპექტაკლის მხატვრობაც. ეპოქის დიდი ცოდნით და მახვილი გემოვნებით დაუმუშავებია ირაკლი გამრეკელს ამ დადგმის დეკორატიული მხარე. იგივე ითქმის იონა ტუსკიას ნამუშევარის შესახებ სპექტაკლის მუსიკალური გაფორმების მხრივ. აქ მუსიკალური ელემენტი არა მარტო გვაძლევს მოქმედების შესაფერ ილუსტრაციას, არამედ მთელ რიგ მომენ-



რესპუბლიკის სახალხო არტისტი ამხ. გ. დავითაშვილი ზაალ ბარათაშვილის როლში.

ტებში ამზადებს კიდევ ფსიქოლოგიურად მაყურებელს დრამის მორიგი ეტაპებისათვის.

ეს დადგმა დიდი წარმატებით მიიღო საბჭოთა მაყურებელთა საზოგადოებრივობამ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს წარმოდგენას არ ჰქონდეს ცალკე ნაკლოვანებანი, რომ იგი არ საჭიროებდეს შემდგომ დახვეწას, დამუშავებას და ზოგიერთ კორექტივებს. მაგალითად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ მკაცრი რიტმიული წინააღმდეგობანი სპექტაკლის განვითარებაში: გადაჭარბებული პაუზები, და სტატიური რიტმი პირველ ორ აქტში, ხოლო ზოგჯერ ზედმეტი დინამიურობა უკანასკნელ მოქმედებებში, სადაც აქა-იქ ირღვევა მოქმედების რეალური განვითარების გრძნობა. შესწორებულ უნდა იქნას ზოგიერთი არადამაჯერებელი, თითქმის შარჟამდე მისული სიტუაციები თავად-აზნაურული ტიპების განხორციელებაში. აგრეთვე აუცილებელია, რომ მეტის რელიეფურობით და მეტის აქტიური მოქმედებით გამოიკვეთოს არსენას სახე. მართალია, არსენა მასებთან მჭიდრო კავშირში უნდა მოქმედებდეს, მაგრამ გლეხური ამბოხების ის სპეციფიური ხასიათი, რომელსაც ადგილი აქვს ამ პიესაში, საფუძველს გვაძლევს არსენას ინდივიდუალური როლი უფრო თვალსაჩინოთ იყოს გამოყოფილი.

ცხადია, ასეთი ხასიათის ცალკეული ნაკლოვანებანი გამოსწორებული იქნებიან სპექტაკლის შემდგომი დახვეწისა და ჩამოყალიბების პროცესში. ისინი სრულიადაც ვერ ანელებენ იმ დიდ შთაბეჭდილებას და უეჭველ წარმატებას, რომლითაც სარგებლობს ეს დიდი დიაპაზონის წარმოდგენა მაყურებელთა ფართო მასებში.

„არსენა“ რუსთაველის თეატრის მიმდინარე სეზონის უკანასკნელი წარმოდგენაა. ამ დადგმით თეატრის განახლებულმა ხელმძღვანელობამ მეტად თვალსაჩინო შემოქმედებითი ნაბიჯი გადადგა იმ უარყოფითი ტრადიციების გადასალახავად, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს რუსთაველის თეატრში ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელობის მუშაობის უკანასკნელ პერიოდში.

ი. ხ.

# პუშკინი „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქციაში

იაკობ ბალახაშვილი

იმ დღეს დილიდანვე დიდი მზადება იყო „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს გამომცემლის ბინაში. ტფილისში ახლახან ჩამოსული გამოჩენილი რუსი მწერალი სადილად ჰყავდა მოწვეული გაზეთის რედაქტორს.

სულ რამდენიმე დღის წინათ პავლე სტეფანესძე სანკოვსკი თავის გაზეთში სწერდა: „ჩვენ აქ მოველოდით ხალხის უსაყვარლეს მწერალს, მაგრამ ეს ყოველმხრივ სასიამოვნო იმედი გაცრუებულია რუსეთიდან უკანასკნელ ხანებში მიღებული წერილებით“. [1])

[illegible] კი ძველი ნაცნობები მხარიმხარ უსხდნენ ერთმანეთს და მეგობრულად მუსაიფობდნენ. თავის ნაწარმოებში — „მოგზაურობა არზრუმში“ პუშკინი შენიშნავს: „სანკოვსკიმ, — „ტიფლისკი ვედომოსტის“ გამომცემელმა, ბევრი საყურადღებო რამ მიამბო ამ ქვეყანაზე, პ. ციციანოვზე, ა. პ. ერმოლოვზე და სხვ. სანკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი მოელის“.

მაგრამ მეგობრული საუბარი მალე შესცვალა ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობამ და, რაღა თქმა უნდა, რომ ამ მსჯელობისა და საუბრის თემად პუშკინის თხზულებანი იყვნენ.

სადილის ერთი თანადამსწრე კონსტანტინე სევასტიანოვი გადმოგვცემს: „როდესაც ლაპარაკი შეეხო მის ოდა „ნაპოლეონს“, მე ჩემი სიყმაწვილისა და აჩქარებული ხასიათის გამო დაუფიქრებლად შევნიშნე ალექსანდრე სერგეისძე პუშკინს. „თქვენ მეტად სუსტად აღწერეთ დიდი მხედართმთავარი და მას გამარჯვებათა ნებიერი უწოდეთ მაშინ, როდესაც ნაპოლეონი ამარცხებდა თავისი გენიალური ნიჭით არა შემთხვევით, არამედ განსჯით. პუშკინმა უპასუხა სრულიად არა-კეთილგანწყობილად, სწრაფად შესწყვიტა საუბარი და გაჩუმდა“. [2])

ტფილისში პუშკინმა დაჰყო რამდენიმე დღე და წავიდა არზრუმთან მომქმედ არმიაში. გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტმა“ ასეთი სტრიქონები უძღვნა ბრძოლის ფრონტზე გენიალური პოეტის გამგზავრებას:

„პუშკინმა დაათვალიერა საქართველო, იგი ცოტა ხანს იყო ტფილისში. მას უნდოდა ენახა ომი, მან სთხოვა მომქმედ ჯარებთან ერთად ყოფნის ნებართვა. 16 ივნისს იგი ჰქვიდა ბანაკად ისკან-სუში.

ჩვენი პირველხარისხოვანი პოეტი რუსეთის სხვადასხვა მხარეში ყოფნას აღნიშნავდა ხოლმე თავის ნაწერებში კავკასიაში მან დასწერა „კავკასიის ტყვე“, ყირიმში „ბახჩისარაის შადრევანი“, ბესარაბიაში — „ბოშები“, შიდა რუსეთის პროვინციებში იგი სწერდა „ონეგინის“ შესანიშნავ სურათებს. ამჟამად ჩვენი საზოგადოება ამყარებს ყველაზე სასიამოვნო იმედებს ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინის ყოფნაზე კავკასიის მხედრობის ბანაკში და კითხვას სვამს, რით დაგვასაჩუქრებს სისხლიანი ბრძოლების მოწმე საყვარელი პოეტი?.

ვით ჰორაციუსი, რომელიც სთხოვს ზღვის საშინელ სტიქიას მეგობრის გადარჩენას, ისე ჩვენც ვთხოვთ ბედს, დაიცვას ჩვენი პოეტი საშინელ ბრძოლებში“ [3])

... ნ. პოტოცკი, რომელიც პუშკინმა ტფილისში ავადმყოფი ჩამოიყვანა, თავის მოგონებაში მოგვითხრობს:

„მისი (პუშკინის — ი. ბ.) წასვლის ორი კვირის შემდეგ მე გამომთელება დავიწყე და ექიმისგან სასეირნოდ გამოსვლის ნებართვა მივიღე. პირველი ჩემი სტუმრობა იყო სანკოვსკისთან, რომელიც დიდი ხნიდან იცნობდა პუშკინს. პავლე სტეფანეს-ძემ მთხოვა უფრო ხშირად მწვევოდი მას.

პუშკინის გამგზავრებიდან სამი კვირის შემდეგ, როდესაც მე სანკოვსკისთან ჩაის ვუჯექი, როგორც ყოველთვის, ლაპარაკი ჩამოვარდა ალექსანდრე სერგეისძეზე. სანკოვსკიმ სთქვა: „მე მეტად მაწუხებს ამბის მოუსვლელობა, ნეტა რას აკეთებს იქ ალექსანდრე სერგეისძე და ჯანმრთელად არის თუ არა?“. ამ დროს კარი ხმაურით გაიღო, ოთახში შემოვარდა პუშკინი და გადაეხვია სანკოვსკის. პუშკინს ჰქონდა მოსხმული თეთრი ქსოვილისაგან შეკერილი ფართო ოსმალური ღართი, ხოლო თავზე წითელი ფესკა ეხურა. მე მალე დავტოვე სტუმარ-მასპინძელი და წავედი შინ...

შემდეგ მეორე და მესამე დღეს კიდევ ვხვდებოდი პუშკინსა და სანკოვსკის ერთად ვსეირნობდით და, სხვათა შორის, დავათვალიერეთ გრიბოედოვის ახლად გაჭრილი სამარე. მის წინ ალექსანდრე სერგეისძემ მოიყარა მუხლი და დიდხანს იყო თავჩაქინდრული, ხოლო, როცა წამოდგა, მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე.

მეორე დღეს პუშკინი გაემგზავრა რუსეთს, სანკოვსკის კი დაუტოვა თავისი ფეხმარდი ცხენი.

სანკოვსკი სისტემატიურად უგზავნიდა პუშკინს გაზეთის ახალ ნომრებს და როდესაც ტფილისში დაიბადა ალმანახის გამოცემის აზრი, მან წერილით სთხოვა პუშკინს გამოეგზავნა მასალა კრებულისათვის. ფრანგულ ენაზე დაწერილ დაგვიანებულ თავის საპასუხო წერილში პუშკინი სწერდა: „მე ესოდენ დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე და ესოდენ უმადური ვჩანვარ, რომ მცხვენიან კიდეც, რომ მოგწეროთ.

კანზასსიმ მომიტანა თქვენი თავაზიანი წერილი. თქვენ მთხოვთ ლექსებს ალმანახისათვის, რომლის გამოცემას წრეულს აპირებთ. მე ვაგვიანებდი მეპასუხნა თქვენთვის მეტად საპატიო მიზეზით. მე არაფერი მქონდა გამოსაგზავნი მე სულ მოველოდი ზეშთაგონების წუთს, ან როგორც ამბობენ, ქალალდის ჩხაპნის მანიას და აი ზეშთაგონება არ მოვიდა.

ორი წლის განმავლობაში მე არც ერთი ლექსი არ დამიწერია. აი როგორ წავიდნენ ჯოჯოხეთში ჩემი კეთილი განზრახვანი, მომერთმია თქვენთვის ჩემი ღარიბი რითმები. ნუ გამიჯავრდებით, რომ მე ვერასოდეს ვერ შევსძლებ გავაკეთო ის, რაც უნდა გამეკეთებია და რისი გაკეთებაც მე მინდოდა. მე დავავალე შირიაევს მოეწოდებინა თქვენთვის ყველაფერი, რაც მე დავბეჭდე ტფილისიდან წამოსვლის შემდეგ; არ ვიცი, შეასრულა მან ეს თუ არა. რაც შემეხება მე, დიდად მადლობელი ვარ თქვენ მიერ გამოგზავნილი ტფილისის გაზეთისათვის, რომელიც ერთადერთია რუსულ გაზეთებ შორის, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ღირებულება, და სადაც გვხვდება საერთო ევროპიული მნიშვნელობის სტატიები.

თუ გხვდებათ თქვენ ხანდახან ა. ბესტუჟევი. გადაეცით მას ჩემი მეგობრული სალამი. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს გუდანაბადის მთაზე, ვერ ვიცანით ერთმანეთი. მას შემდეგ მე მის შესახებ ამბებს ვიგებ მხოლოდ გაზეთებიდან, სადაც იგი ბეჭდავს თავის მომხიბლავ მოთხრობებს. აქ გავრცელდა ხმა მისი სიკვდილის შესახებ. ჩვენ იგი გულითადად გამოვიტირეთ და ძალიან გაგვეხარდა, როდესაც იგი აღსდგა მკვდრეთით საღვთო წერილის მესამე დღეს.

ამ ბარათს თქვენ გადმოგცემსთ როსეტი — სავსებით ღირსეული ჭაბუკი, რომელმაც ახლახან დასტოვა ბრწყინვალე საზოგადოება და მშფოთვარე სიცოცხლე საქართველოს ჯარისკაცის სასტიკი ცხოვრებისათვის. მე მას რეკომენდაციას ვუკეთებ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დამიმადლებთ ამ ნაცნობობისათვის. მიიღეთ, მოწყალეო ხელმწიფე, რწმუნება ჩემს ღრმა პატივისცემაში თქვენდამი. ალექსანდრე პუშკინი.

3 იანვარი 1833 წ.

სანკტ-პეტერბურგი.

წერილმა ველარ ჩამოუსწრო ადრესანტს: 1832 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტის“ რედაქტორი პავლე სტეფანესძე სანკოვსკი ხოლერამ იმსხვერპლა.

[1]) იხ. Тифл. Ведомость“ 1829 წ. № 17.

[2]) [illegible] „Пушкин и его Современники“ 1928 წ. № 37.

[3]) „Т. В.“ 1829 წ. № 29.

# „არსენას“ ახალი სახე

ტიციან ტაბიძე

არსენას თავგადასავალი ერთი მთავარი ეპიზოდია გლეხთა მრავალრიცხოვან აჯანყებისა საქართველოში. ხალხს დღემდე ახსოვს, როგორ საბედისწეროდ განწირული იყო გლეხთა მოძრაობა ქართველ ფეოდალებისა და რუსეთის სამხედრო ძალების გარემოცვაში.. და ამიტომაც არსენა ოძელაშვილი დიდი ხანია გახდა მისი საყვარელი გმირი.

ილია ჭავჭავაძემ „კაკო ყაჩაღში“ სცადა არსენას პიროვნების განხორციელება, მაგრამ ამ პოემას მაინც დამოუკიდებელი შემოქმედების ხასიათი აქვს და ხალხურ, არსენაში არ გადადის, სანდრო ყაზბეგის პიესა „არსენა“-ს არ გაუმარჯვნია და ჩვენ დრომდე არსენა მარტო ხალხურ ლექსში ცხოვრობდა, ხოლო უკანასკნელ დროს საბჭოთა მწერლობა ხელმეორედ უბრუნდება არსენას პიროვნებას და ამ ახალი ინტერესით არის გამოწვეული სანდრო შანშიაშვილის დრამატიული პოემა „არსენა“-ც. სანდრო შანშიაშვილმა ჩვენი ეპოქის მწვერვალებიდან გადახედა გლეხთა აჯანყებას და ამიტომ წარსულის ტრაგედია გამარჯვებულ პროლეტარიატის დიქტატურის ფონზე სხვა სანახაობას იძლევა და მართლაც „ოპტიმისტურ ტრაგედიაში“ გადადის. საერთოდ სანდრო შანშიაშვილი დიდი ოსტატია გლეხური სულისკვეთებისა, მან კარგად იცის ხალხის შინაგანი ბუნება, რაც დაამტკიცა პიესაში, რომელიც გიორგი სააკაძის ცხოვრებას შეეხება.

რუსთაველის თეატრი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა პიესას და თავი არ დაუზოგავს შეექმნა „არსენას“ ახალი სახე.

საერთოდ ეს პიესა თეატრის უდავო დიდი გამარჯვებაა: რეჟისორი, ავტორი და აქტიორი ერთნაირი თავგამოდებით მოეკიდნენ ამ დადგმას და საერთო ძალით შეუქმნიათ ბრწყინვალე წარმოდგენა. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ახალ დადგმაში მეტი გასაქანი ეძლევა აქტიორს. მეტი არის სისადავე, რაც მთავარი ელემენტია სოციალისტურ რეალიზმისა. რეჟისორს აკაკი ვასაძეს ამ ხაზით სწორად აქვს გაყვანილი ლარი, სწორად აქვს მოფიქრებული ტიპაჟი და მასიური სცენები. თუ ხანდახან აქვს ადგილი გაშარჟებას, ეს უფრო ავტორის ბრალია, მაგალითად, ფეოდალური წოდება ვერ არის გამოყვანილი რეალისტური ასახვით.

მხატვარ ირაკლი გამრეკელს სწორად გაუგია ამ ეპოქის ხარხი და მის დეკორაციაში არის საჭირო მონუმენტალობა.

ამსრულებელთა შორის გარდა აკაკი ხორავას საუცხოვო თამაშისა არსენას მთავარ როლში, შესანიშნავია აგრეთვე გიორგი დავითაშვილი, ხინო დავითაშვილი, მ. აფხაიძე, დ. მჟავია, ნ. ჯაჯანაშვილი და, რაც უფრო სასიხარულოა, ახალგაზრდები, ხუციშვილი და მაჩაბელი. თუ განახლებული რუსთაველის თეატრი ამ თავითვე ასე სიმარჯვეს იჩენს, იმედი უნდა ვიქონიოთ, შემდეგში უფრო გააღრმავებს თავის მუშაობას და შექმნის აღმავალ ეტაპს მთელ საბჭოთა თეატრის კულტურის ისტორიაში.

# ხალხის გმირი რუსთაველის თეატრში

არჩილ ჯაჯანაშვილი

„არსენა“ რუსთაველის თეატრის მორიგი გამარჯვებაა. თეატრის მთელ კოლექტივს დრამატურგ ა. შანშიაშვილთან ერთად არ დაუზოგავთ შრომა და ენერგია, რომ ხალხის საყვარელი გმირი საუკეთესოდ განსახიერებულიყო სცენაზე. დრამატიზმით დაწერილი პიესა, შესანიშნავი დეკორაციები, მომხიბლავი მუსიკა და მსახიობთა კოლექტივის დაკვირვებული თამაში სპექტაკლს მთლიან მხატვრულ მოვლენად ხდის. რუსთაველის თეატრმა ამ წარმოდგენით მოგვცა საუკეთესო ნიმუში სოციალისტური ოპტიმიზმისა. რომლის გამოხატულებადაც უნდა ჩაითვალოს ბრძოლისა და გმირული თავდადების სცენები. უსაშინელესი ექსპლოატაციის რგოლში მოქცეული ხალხი, რომლის მეტყველი დუმილიც კი მომავალი მრისხანების მომასწავებლად უნდა ჩაითვალოს, თანდათან, დამაჯერებელი დინამიურობით იშლება დიდ ბრძოლებში. ამ დუმილის გარღვევისა და ბრძოლის გამძაფრების სურათები მხატვრული გაფორმებით გადმოგვცა რუსთაველის თეატრმა.

სპექტაკლს აქა-იქ ემჩნევა სიჩქარე, მუსიკალური ნაწილის გაჭიანურება, ზოგან გლეხების მიერ წარმოთქმული რეპლიკების მწიგნობრული კილო. მაგრამ რეჟისორ ვასაძის გამოცდილება, უეჭველია, უზრუნველჰყოფს სპექტაკლის დახვეწას და პირველი წარმოდგენების დროს შემჩნეულ ზოგიერთი ნაკლის გამოსწორებას.

# სოციალისტური ტრანსპორტის გმირები მხატვრულ ლიტერატურაში

ღრმა ინტერესი და ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სადგურ ტფილისის სტახანოველ-კრივონოსელთა მომართვის განხილვამ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 29 მაისის სხდომაზე.

პრეზიდიუმი გაეცნო ტრანსპორტზე მიმაგრებულ მწერალთა მუშაობას და მოიწონა გადაწყვეტილება ტრანსპორტზე მომუშავე მწერალთაგან ერთი შემოქმედებითი კოლექტივის ჩამოყალიბების შესახებ. პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მეტი ინტენსივობით გაგრძელდეს მუშაობა ტრანსპორტის ცხოვრებიდან სათანადო მასალების შესაგროვებლად და წინასწარ დასამუშავებლად. პრეზიდიუმმა დაავალა სამდივნოს, ტრანსპორტზე მომუშავე მწერალთა კოლექტივს შეუქმნას პირობები, რომ მან მიმდინარე წლის დასრულებამდე გამოსაცემად დაამზადოს მხატვრული კრებული „ტრანსპორტის სტახანოველები“.

# პანტელეიმონ პეტრენკო

გარდაიცვალა პოეტი პანტელეიმონ პეტრენკო.

უეცარმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოთიშა შემოქმედებითი ძალებით, ენერგიით აღსავსე, ლექსის ნიჭიერი ოსტატი ახალგაზრდა პოეტი.

პანტელეიმონ პეტრენკო დაიბადა 1908 წელს უკრაინაში.

1934 წელს იგი ჩამოდის ტფილისში და მისთვის ჩვეული გატაცებით იწყებს როგორც თანამედროვე, ისე ქართველ კლასიკოს პოეტების — ბესიკის, საიათნოვას და სხვ. ლექსების თარგმნას რუსულ ენაზე. ამ თარგმნებმა, რომელიც იბეჭდებოდა ადგილობრივ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში მოუპოვეს მას ნიჭიერი პოეტის და ოსტატი მთარგმნელის სახელი.

მაგრამ მის შემოქმედებაში მაინც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს უკვდავი „ვეფხის ტყაოსნი“-ს თარგმნა. ქართული კლასიკური მწერლობის ამ უდიდეს ძეგლს მიუძღვნა მან ორი უკანასკნელი წლის დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობა. პოემის თარგმნას იგი უკვე ამთავრებდა (გადასათარგმნი დარჩა მხოლოდ პოემის უკანასკნელი 110 სტროფი.) პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანი, რომელსაც სცემს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, გამოვა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავისათვის.

პეტრენკოს მიერ თარგმნილი პოემის რამდენიმე ცალკე თავი უკვე ცნობილია მკითხველთა ფართო მასებისათვის. არა ერთხელ აღუნიშნავთ ამ თარგმნის მაღალი ხარისხი როგორც პრესაში ისე საჯარო დისპუტებზე, დედანთან სიახლოვე, პოეტური აზრის ოსტატური გაშლა და რუსთაველის მხატვრული სახეების ზუსტი გადმოცემა — ეს ახასიათებს პ. პეტრენკოს მიერ თარგმნილ „ვეფხის ტყაოსანს“.



მაგრამ უეცარმა სიკვდილმა მას საშუალება არ მისცა დაემთავრებინა ეს უაღრესად საპასუხისმგებლო დიდი შრომა. პოემის 1601-ლ სტროფზე მოულოდნელად შეწყდა მისი სიცოცხლე.

გარდაიცვალა პ. პეტრენკო თავის შემოქმედების შესაძლებლობის სრული აყვავების პერიოდში და დატოვა ქართველი და სომეხი პოეტების მრავალი ლექსის თარგმანი. მისმა სიკვდილმა წრფელი გულისტკივილი აგრძნობინა ყველას ვინც კი იცნობდა პანტელეიმონს, როგორც ნიჭიერ პოეტს.

კონსტანტინე ჭიჭინაძე, ნიკოლო მიწიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, აკ. გაწერელია, ალიო მაშაშვილი, ბესო ჟღენტი, კონსტ. გამსახურდია, მიხ. ჯავახიშვილი, ილიო მოსაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გ. ქუჩიშვილი, დ. გაჩეჩილაძე, მიქელ პატარიძე.

ლიტ. საქართველო



ლასლო მეზაროში „მონადირე“

# ლასლო მეზაროში

უნგრეთის რევოლუციურ მხატვართა შორის ახალგაზრდა მოქანდაკე ლასლო მეზაროშს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

1929 წელს ბუდაპეშტში მოეწყო მისი ნამუშევრების პირველი გამოფენა. მას მოჰყვა სხვა გამოფენებიც. 1931 წ. მისი ნამუშევრები გამოფენილ იქნა მიუნჰენსა, ბერლინსა და გრაცში. გრაცში მისი მუშის ქანდაკება დაჯილდოვებულ იქნა ვერცხლის მედლით.

მეზაროშის ქანდაკებები აღსავსენი არიან სიცოცხლით, სიახლითა და სიძლიერით.

ახლა ლასლო მეზაროში მუშაობს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მშენებლობაზე, როგორც მოქანდაკე.

## საბჭოთა ფელეტონი

# შემოქმედებითი მივლინება

### პროლოგი

ბელეტრისტმა მალაღურაძემ და პოეტმა ოფოფაძემ შემოქმედებითი მივლინება ითხოვეს.

— კეთილი, —უთხრეს მათ,—სამი დღის შემდეგ გაგიშვებთ თამბაქოს რაიონების გასაცნობად. იმედი გვაქვს, პირნათლად შეასრულებთ დავალებას. მოველით თქვენგან თამბაქოს მუშაკთა-სტახანოველთა, დამკვრელთა და სხვათა შესახებ მაღალი ხარისხის ნარკვევებს.

— სრული იმედი გექნეთ. ოღონდ მივლინება მოგვეცით და სხვა ჩვენს კისერზე იყოს!—ერთხმად წამოიძახეს მწერლებმა.

### აქა ამბავი მივლინებაში მყოფთა

პოეტი ოფოფაძე და ბელეტრისტი მალაღურაძე მეხუთე დღეს კიდევ ქალაქში ნახეს.

— რატომ აგვიანებთ წასვლას?—ჰკითხეს მათ,—ნუ აბრკოლებთ საქმეს!

— ამხანაგო, საკვირველია თქვენი საყვედური.... მოუმზადებლად ხომ ვერ წავიდოდით? ვიმარაგებდით ბლოკნოტებს, საწერ ქაღალდს, სათანადო ლიტერატურას და ფანქრებს... აბა ისე ხომ ვერ წავალთ?—პირიქით განაწყენდნენ მწერლები.

მეშვიდე დღეს, როგორც იქნა, დაიძრნენ, მატარებელში ჩასხდნენ და დანიშნულ რაიონს მიაშურეს.

დალაგდნენ თუ არა კუპეში, ძილს მისცეს თავი. ცოტა ეძინათ თუ ბევრა ეძინათ, პირველმა მალაღურაძემ გაიღვიძა. დაინახა, რომ უკვე გათენებულიყო. ნამძინარევმა უხალისოდ გაიხედა ფანჯარაში, მაგრამ უცბად, როცა წაიკითხა რა სადგური იყო, ეცა მეგობარს და გააღვიძა.

— მივედით?—იკითხა ოფოფაძემ.

— კი არ მივსულვართ, მარა დიდებულმა აზრმა გამკრა თავში... შემდეგ სადგურზე უნდა გადმოვიდეთ. იქვეა სოფელი, სადაც ბიძა-ჩემი ცხოვრობს. მივიდეთ, ვესტუმროთ... იცოცხლე, იმან პატივი გვცეს!... გარდა ამისა, ბიძა-ჩემი დიდებულად იცნობს თამბაქოს საქმეს, ჩინებული სპეციალისტია ამ დარგში.

— სტახანოველია თუ?—შეეკითხა ოფოფაძე.

— არა, აფხაზეთში და აჭარაში ნამყოფია ძველად. კონტრაბანდად მოჰქონდა თუთუნი, ვაჭრობდა და ნაშოვარი ფულით ისეთი მამული გაიშენა, შენი მოწონებული. ადექ, ადექ! ისეთ ხაჭაპურებს გვაჭმევს, ისეთ საფერეს დაგვალევინებს! ახლა რგვალად მოხარშულ დედალს არ იკითხავ? მერე კიდევ ჩვენი საქმისათვისაც გამოგვადგება ბიძა-ჩემთან საუბარი. ძველად თამბაქოს მოყვანის ამბავს გვეტყვის. ხომ უნდა გვქონდეს წარმოდგენა, თუ რა საშინელი პირობები იყო წარსულში თამბაქოს რაიონებში? ჰო და, ადექი მალე!

სანამ მატარებელი სადგურს მიაღწევდა, ოფოფაძემ ამოიღო ბლოკნოტი და ჩაიწერა:

— „ორშაბათი გათენდა. იმ მიზნით, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორი იყო ჩვენი მეთამბაქოება წარსულში, ცნობების მისაღებად მივდივართ ძველ სპეციალისტთან, რომელიც შავბნელმა წარსულმა სასოწარკვეთამდე მიიყვანა და ამ დარგში მუშაობაზე ხელი ააღებინა“...

მალაღურაძის ბიძამ არც თუ ხალისით მიიღო სტუმრები, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ისინი გაბრუნებას არ აპირებდნენ, თავი გაიმეტა და მასპინძლობა გასწია.

— !სამშაბათი. ნაშუადღევი.—ჩაიწერა თავის ბლოკნოტში ოფოფაძემ. — გუშინ დავჯექით და ეს-ესაა ავდექით სუფრიდან. ქვეყანა ტრიალებს, თუ მე მიტრიალებს თავში? დავლიეთ მეთამბაქოების სტახანოველთა სადღეგრძელო. ვაშა! გაუმარჯოს აგრეთვე კარგად გაკეთებულ „პადსტროჩნიკებსაც“!

— ოთხშაბათი. დაღამდა. დღეს მეზობელმა დაგვპატიჟა. უნდა დავწერო პოემა თამბაქოს სტახანოველებზე. ჯერჯერობით ვსვამ მათ სადღეგრძელოს. „სტახანოველი“! პადსტროჩნიკისთვისაც ადვილი სათარგმნია ეს ცნობილი სიტყვა. რუსულად იქნება „სტახანოვსკი“.

— „ხუთშაბათი. ახალი გაღვიძებული ვარ ვერ ვერკვევი რა დროა. მალაღურაძემ სუფრაზე დიდებული სიტყვა სთქვა თამბაქოს მნიშვნელობაზე. ბიძა-მისი ისე აღფრთოვანდა და აღელდა, რომ გულზე მუშტებს იბრაგუნებდა. ვრჩებით აქ ხვალაც. მგონი ზეგაც. ბოლოს და ბოლოს რა უნდა ვნახოთ ისეთი აფხაზეთში და აჭარაში, რაც არ გაგვეგონოს? კარგადაა საქმე, ეს ვიცით—მეტი რაა საჭირო? ამას ვერ დავწერთ თუ? აბა რისი შემოქმედნი ვართ?“.

— „კვირა. ნაშუადღევი. ეს-ესაა სამგზავრო საუზმე გავათავეთ. კიდევ დავლიეთ სტახანოველთა სადღეგრძელო და ახლა გზას უნდა გავუდგეთ“..

როცა მეგობრები სადგურზე დაბრუნდნენ, ოფოფაძემ კითხა მეგობარს:

— სად მივდივართ ახლა ჩვენ?

— ერთი დღით ჩავიდეთ, შე კაი კაცო, დანიშნულ რაიონში, დავხედოთ იქაურობას. ერთი სტახანოველი მაინც ვნახოთ!——უთხრა მალაღურაძემ.

— მოგცლია შენ!—შეუტია ოფოფაძემ—დავბრუნდეთ ქალაქში!

— კი მარა, ნარკვევი? მასალა რომ გვინდა?

— ოი საშინელო უგუნურებავ! — ხელები აატოტინა ოფოფაძემ—სხვამ ვინ დასწერა, ჩვენ რომ თავი ვატეხოთ? როდის ნახე შენ, რომ შემოქმედებითი მივლინებაში წასულს რაიმე დაეწეროს? მასხარად გინდა აგვიგდონ ამხანაგებმა?

მეგობრები მატარებელში ჩასხდნენ და ტფილისში დაბრუნდნენ.

### ეპილოგი.

გაიარა თვემ. ორმა. სამმა.

—რას შვრებით, ამხანაგებო?—ეკითხებოდნენ მათ, — დაგვიანდა თქვენი ნარკვევი!

— ვწერთ, ვწერთ!—იმედს იძლეოდნენ ისინი.—ნამეტანი დამძიმებული ვართ თამბაქოს რაიონებში მიღებულ შთაბეჭდილებებით და ვერ მოვერიეთ ასე უცბად, ვერ გადავეხარშეთ თავში მასალა!

აგერ ხუთ თვეზე მეტია „ხარშავენ“ ისინი იმ მასალას და ჯერაც ვერ მოხარშულა.

ფასკუნჯი.

# მენანდრეს კომედიები

მოსკოვ-ლენინგრადის გამ. „აკადემიამ“ გამოსცა ანტიური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის—ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ფ. წერეთლის მიერ ახლად აღმოჩენილ ეგვიპტურ პაპირუსებიდან თარგმნილი მენანდრეს კომედიები, მკვლევარის შესავალი წერილით და ვრცელი კომენტარიებით.

წიგნს დართული აქვს გამ. „აკადემიის“ შემდეგი ანოტაცია:

„დრამატიული გამომგონებლობის ნიჭი, სიტუაციების შექმნის ოსტატობა, მონოლოგების გაშლის შესანიშნავი უნარი, ვრძნობების სიმართლით ასახვა, ძალდაუტანებელი სასაუბრო ენა,—ყოველივე ეს ახასიათებს ახალატიკურ კომედიის—ხასიათების კომედიის ფუძემდებელს და ახალევროპული კომედიის შემოქმედთა—შექსპირისა და მოლიერის უახლოეს წინამორბედს—მენანდრეს.

ახლახან აღმოჩენილ ეგვიპტურ პაპირუსებიდან გ. ფ. წერეთლის მიერ შესრულებული თარგმანი სწორ წარმოდგენას აძლევს საბჭოთა მკითხველს ანტიური კომედიის ამ ბრწყინვალე ოსტატზე.

შესავალი წერილი და დამაკავშირებელი თხრობა გზას უკვლევს მკითხველს ამ კრებულში მოთავსებულ პიესების სიუჟეტში“.

# უცხოეთი

## ჩაპლინის ფილმები აკრძალეს გერმანიაში

გერმანიაში აკრძალეს ყველა ფილმი ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით. აკრძალვა დასაბუთებულია იმით, რომ ჩაპლინს „ფიურერისათვის“ ერთ დროს მიუყენებია შეურაცხყოფა. უთქვამს: „გიტლერმა ჩემგან მოიპარა ულვაშების ფასონიო“.

## ცოცხალი სანთლის ფიგურები

პრაგის „როტე ფანე“ მოგვითხრობს ჩეხოსლოვაკიის უმუშევარ მსახიობთა პირობების შესახებ. ლუკმა-პურისათვის ისინი ცოცხალ რეკლამის როლს ასრულებენ. პრაგის ერთ-ერთ ბუფეტ-ავტომატის პატრონმა, იმისათვის, რომ მიიზიდოს მყიდველები, მიმართა ასეთ ხერხს: რესტორანის შემოსასვლელში დააყენა მონოკლიანი მსახიობი, რომელსაც ლოყები და ტუჩები შეთითხნილი აქვს საღებავებით. იგი ჩუმად დგას ქუჩაში და ცალ თვალს უპაჭუნებს გამვლელს. ხელში განცხადება უჭირავს „ისარგებლეთ ავტომატით“!

პირველი შეხედვით გგონიათ, რომ თქვენს წინ სანთლის ფიგურაა, სწორედ ამაშია რეკლამის ტრიუკი. საჭიროა ნერვების იშვიათი დაჭიმულობა, რომ იდგე ჩუმად, გაუნძრევლად მაშინ, როდესაც ირგვლივ შემოკრებილი ხალხი ხარხარებს.

ეს ცოცხალი სანთლის ფიგურები განსაკუთრებით საშინელ მდგომარეობაში ვარდებიან ცივ და წვიმიან დღეებში. ამ აუტანელი შრომისათვის მსახიობები იღებენ ისე მცირე გასამრჯელოს, თითქო ისინი მართლაც სანთლის ფიგურები იყვნენ და არ ჰქონდეთ არავითარი მოთხოვნილება.

## მისტერ პიკვიკის 100 წელი

ბაზელის „ნაციონალ ცეიტუნგი“ გვატყობინებს, რომ მთელს ინგლისში დღესასწაულობენ თავისებურ საიუბილეო დღეებს: დიკენსის პირველი რომანის უკვდავი გმირის მისტერ პიკვიკის დაბადებიდან 100 წლის შესრულებას. ასეთი იუბილეები ხშირია, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როდესაც იუბილარი დაბადებიდან 100 წლამდე აღწევს. პიკვიკი კი ორგვარად სცოცხლობს: როგორც გმირი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წიგნისა ინგლისში, და როგორც „უკვდავ ინგლისელის“ განსახიერება, რომელსაც დღესაც შეხვდებით ლონდონში.

ყველასათვის ცნობილია, რომ პიკვიკი დიკენსის საშუალებით და დიკენსი პიკვიკის მეოხებით უკვდავნი გახდნენ. არა ნაკლებ ცნობილია, რომ პიკვიკი არ წარმოუშვია უდიდესი მწერლის ფანტაზიას. იგი პირველად განსახიერებულ იქნა იმ დროს ცნობილი მხატვრის სეიმურის სახელოსნოში. სეიმურს დაებადა აზრი პორტრეტების სერიაში გამოესახა საშუალო ინგლისელი „პიკვიკის“ სახელწოდებით. და რადგანაც გამომცემელმა მოითხოვა სურათს თანდართული ჰქონოდა ტექსტი, მოწვეულ იქნა ახალგაზრდა დიკენსი, ნაკლებად ცნობილი ავტორი სკეტჩებისა.

სეიმურს სრული წარმოდგენა არ ჰქონდა დიკენსის ნიჭზე. მას უნდოდა ისეთი მწერალი, რომლის მიერ დაწერილი ტექსტი არ დაჩრდილავდა მხატვრის ნამუშევრებს. სეიმურსაც სწორედ ასეთ მწერლად მიაჩნდა დიკენსი და იმიტომაც მოიწვია ტექსტის ილუსტრატორად.

მაგრამ როცა დიკენსი მუშაობას შეუდგა, სეიმური დაიჩრდილა, მისი სურათები წიგნის ჩვეულებრივ ილუსტრაციებად გადაიქცნენ. დიკენსი მხატვარს რჩევას აძლევდა არა მარტო პიკვიკის განსახოვანების შესახებ, არამედ მიუთითებდა კოსტუმის დეტალებზედაც.

წინასწარ დახატული სურათები დიკენსმა მხატვარს უკანვე დაუბრუნა გადასაკეთებლად, მხატვარმა ისინი გადააკეთა და შეასწორა მწერლის მითითებების თანახმად. მხატვარმა სასტიკი დამარცხება იგრძნო და თავის ატელიეში მოიკლა თავი.

უდიდესი გამოხმაურება მოიპოვა რომანმა გამოსვლისთანავე. ინგლისელმა მკითხველებმა რომანში დაინახეს თავიანთი სახეები. ტანისამოსიც კი, რომელიც დიკენსის მითითებით უწვრილმანეს დეტალებით იყო მხატვრის მიერ დახატული, 1836 წელს გადაიქცა მოდად.

იმისათვის, რომ აღნიშნონ თავიანთი საყვარელი გმირის იუბილე, ინგლისელი „პიკვიკები“ თავს იყრიან ლონდონში ყოველ კუთხიდან. „პიკვიკის კლუბი“, რომელიც შექმნილია მწერლის ფანტაზიით, ხეალობად იქცა და დღესაც არსებობს. კლუბი აწყობს უპატრონო ცხოველების თავშესაფარებს. კლუბის წევრები ფიქრობენ რომ „ეს საქმიანობა ძალზე გაახარებდა პიკვიკის გულს, რომ იგი ახლა ცოცხალი იყოსო“.

## „სახიფათო წიგნები“

„რეიხს უნდ პრეისიშენ შტაატსანცეიგერი“ იტყობინება, რომ „გერმანული ხალხის დაცვის კანონის“ მიხედვით აკრძალულია ავგუსტ ბებელის ცნობილი წიგნი „დედაკაცი და სოციალიზმი“. წიგნი მიჩნეულია „კეთილზნეთათვის სახიფათოდ“.

იმავე პრუსიაში—იტყობინება პარიზერ ტაგებლატი“—ანალოგიურ მოტივებით კონფისკაციაქმნილია ცნობილი ფრანგული და გერმანული წიგნები. მათ შორის დიდროს „მონაზონი“, რომელიც გამოცემულია 200 წლის წინათ.

## ბიბლიოგრაფია

# გიორგი ერისთავის აკადემიური გამოცემა

მე-19 საუკუნის მწერალთა შორის გიორგი ერისთავს ქართული ლიტერატურის ისტორია თვალსაჩინო ფიგურად აღიარებს. ეს აიხსნება იმდენად არა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი მხატვრული ღირსებებით, რამდენად იმ როლით, რომელიც გიორგი ერისთავმა და მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ შეასრულა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და აზრის განვითარებაში.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ უდავო დებულებას, თუ რა დიდი ღირებულება აქვს ლიტერატურას, როგორც სოციალური ცხოვრების ფუნქციას. გ. ერისთავის ნაწერებში ისეთი რეალური ფერებით აისახა ჩვენი ისტორიული ვითარების გარკვეული ეტაპი, რომ ისინი მუდამ დარჩებიან საუკეთესო წყაროდ და დოკუმენტებად ამ ეტაპის შესწავლისათვის.

გ. ერისთავმა თავის პირველ კომედიაში მოგვცა გადაგვარებული თავადაზნაურობისა და ფეხადგმული სავაჭრო კაპიტალის სწორი სურათები. ჩვენი წარსულის შემსწავლელი ამ კომედიებს გვერდს ვერ აუქცევს, პირიქით, ის ჰპოვებს მათში ცოცხალ ტიპებს და ტიპიურ გარემოებებს.

ამას დაუმატეთ გ. ერისთავის საზოგადო მოღვაწეობა და ნათელი იქნება ის, თუ რატომ მიაჩნია იგი ქართულ ლიტერატურას თავის თვალსაჩინო ფიგურად.

გიორგი ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული ქართული თეატრის დაარსება და პირველი სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა.

გიორგი ერისთავმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში ის ხალხური ენა, რომელიც სამუდამოდ შერჩა ჩვენს ხალხოსნურ მწერლობას. მაგრამ სიმართლე ითხოვს ვაღიაროთ, რომ გიორგი ერისთავის ენას აკლია ის თვისებები, რომელნიც ხალხურსა და სასაუბრო ენას წმინდა ლიტერატურულ ენად აქცევენ. მწიგნობრული ენის შემდეგ გ. ერისთავმა მეორე უკიდურესობის ტონი აიღო და ჩვენს სალიტერატურო მეტყველებაში შემოიტანა ის დიალექტი, რომელსაც დაკვირვებულმა კრიტიკოსმა ალექსანდრე ორბელიანმა „მოშვებული“ ენა უწოდა.

მართალია გ. ერისთავი ამ ენას უმეტესად ტიპების დახასიათების დროს გვაძლევს (თუმცა სხვაგანაც იყენებს მას), მაგრამ დიალექტებისა და ჟარგონების ნატურალისტური შემოტანა სრულიადაც არ არის სავალდებულო მწერლისათვის და ამ ფაქტში სავსებით კანონზომიერად მჟღავნდება ჩვენი მწერლის სტილი.

გ. ერისთავის ენის ტრადიცია განაგრძეს ჩვენმა ხალხოსნებმა. მათი ენის პარალელურად დაიბადა მე-60 წლებში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული ენა, რომელიც წარმოადგენს ხალხური ენისა და მწიგნობრული სტილის შესანიშნავ სინთეზს.

გ. ერისთავის ნატურალისტური სტილი ერთ უდიდეს სამსახურს უთუოდ გვიწევს: ჩვენ ვეცნობით იმ დროის საყოველდღეო ჟარგონს, რაც არანაკლები მოწამეა საზოგადოებრივ ცხოვრების მოდუნებისა და დაკნინების.

ყველა ამ ფაქტიდან ნათელია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს გ. ერისთავის ნაწერების სრული კრიტიკულის გამოცემას, რომელსაც რედაქტორობენ შალვა რადიანი და ი. ბალახაშვილი (გამომცემელი „ფედერაცია“).

ეს გამოცემა შევსებულია მრავალი უცნობი მასალით და ცნობილი ნაწერების ტექსტის დადგენისთვისაც რედაქტორებს დიდი შრომა გაუწევიათ. წინამდებარე გამოცემა შეიცავს გ. ერისთავის ახლად აღმოჩენილ არქივის საინტერესო მასალებს. მაგალითად, პირველად იბეჭდება რამდენიმე ლექსი და „ევროპაში მოგზაურობა 1862 წელს“. პირველად ქვეყნდება აგრეთვე მთლიანი ტექსტი პოემისა „ზარე და ყანიმათი“, რომელიც დღემდე დაუმთავრებელ ნაწარმოებად იყო მიჩნეული. მოკლედ: აღნიშნული გამოცემა გვაძლევს გ. ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის სრულ სურათს.

წიგნს დართული აქვს შ. რადიანის ვრცელი წერილი ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და ი. ბალახაშვილის კომენტარები, რომლებიც შედგენილია მუყაითად და კეთილსინდისიერად.

რამდენიმე სიტყვა „ყვარყვარე ათაბაგის“ შესახებ. ი. ბალახაშვილს ყოვლად დაუსაბუთებელ, ზეპირ გადმოცემაზე დამყარებულად მიაჩნია გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით ეს ნაწარმოები ეკუთვნის მღვდელ ალექსეევ-მესხიევს.

ძნელია თქმა, სცდებიან თუ არა ალ. ორბელიანი, პ. უმიკაშვილი და ი. მეუნარგია, რომელნიც გვაწვდიან ამ „ზეპირ გადმოცემას“. ესენი კი ისეთი ავტორიტეტული პირები არიან, რომ ი. ბალახაშვილს ანგარიში უნდა გაეწია ამისთვის და ცდილიყო გ. ერისთავის ავტორობის დაცვას. კომენტარებში არაფერი ამის მსგავსი არ არის (გვ. 408).

ალაგ-ალაგ კომენტარებში გვხვდება ცუდი ქართულის რეციდივები. მაგალითად: 1. „მარტო ტფილისის ყოფილ გუბერნატორ პოლონელ პეტრე ზავილეისკის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ გ. ერისთავს და სხვა შეთქმულთ ცოდნოდათ პოლონეთის სოციალპოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ“ (გვ. 385). ისმის კითხვა: რა უნდა სცოდნოდათ სოც-პოლიტ. და ლიტ. ცხოვრების შესახებ? თუ თვითონ ეს ცხოვრება—მაშინ ზედმეტია „შესახებ“. ამ შეცდომას მიტომ აღვნიშნავ, რომ იგი ტიპიური რუსიციზმია. 2. „მაიკო ორბელიანი, მეგობარი გ. ერისთავისა (რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა ნ. ბარათაშვილს). ვისთან ჰქონდა მიმოწერა ნ. ბარათაშვილს — გიორგი ერისთავთან? ვ. „ანატოლია შესდგებოდა თვრამეტი სინჯიყიდან“ (უნდა იყოს სინჯიყისაგან) და სხვ.

გარდა ამისა, სრულიად აუტანელია: ივანე ქრისტეფორ ფრიდრიხ შილერი (გვ. 384) უნდა იყოს: იოჰან კრისტოფ და არა ივანე და ქრისტეფორე. აგრეთვე მიუღებელია: ავსტრეთი (გვ. 414).

რამდენიმე სიტყვა კერძო წერილების შესახებ.

წერილების უმრავლესობას არავითარი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ღირებულება არ აქვთ. საკითხავია: ღირდა თუ არა მათი გამოქვეყნება? ერთი საყვედური გამომცემლობას. წიგნი შეკრულია სუსტად. გარდა ამისა ასეთი გარეკანით გამოშვება ოთხასგვერდიანი წიგნისა—უთუოდ შეცდომაა: ერთი წაკითხვა და წიგნის ყდის შემოფლეთვა—განა ეს საქმეა?

გ. ნადირაძე

# მწერლები სოფლად

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპ
ნიისათვის კულტურული მომსახურობ
გასაწევად, სოფლად მასიურ-ლიტერატ
რული მუშაობის გასაჩაღებლად საქარ
თველოს მწერალთა კავშირმა განათლებ
სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გ
გზავნა მწერალთა ბრიგადები: სიღნაღ
რაიონში—სიმ. ჩიქოვანი და ილ. მოს
შვილი; თელავის—ლ. მეტრეველი, გ. ქ
ჩიშვილი და სიმონიანი; ხაშურის—ლ. ს
ლიაშვილი და ვ. ჟურული, ჯუღლის რ
ონში:—ალ. ქუთათელი, ირ. აბაშიძე დ
გრ. ცეცხლაძე; სამტრედიის და ზუგდ
დის რაიონებში: ნ. ზომლეთელი, სო
თავაძე და ბ. ჩხეიძე; ლანჩხუთისა და მ
ხარაძის რაიონებში: იაკ. ლისაშვილი,
აფხაიძე და ალ. გომიაშვილი.

მწერალთა ბრიგადებს დავალებულ
აქვთ ლიტერატურული საღამოების მო
წყობა რაიონის ცენტრებსა და კოლმეურ
ნეობებში, საუბრების ჩატარება ლიტერა
ტურის საკითხებზე, სალიტერატურ
წრეების მუშაობის შემოწმება, დამწყ
ავტორთა კონსულტაცია, წრეების ხე
მძღვანელთათვის დახმარების გაწევ
კოლმეურნეობებთან სალიტერატურო წ
ების ჩამოყალიბება, მკითხველთა სარაი
ნო კონფერენციებისათვის წინასწარი მზ
დების ჩატარება და სხვა.

## „მეგობრობა“

გასულ წელს საქართველოში ჩამოვიდ
ბელორუსელ მწერალთა ბრიგადა, რომე
მაც დაჰყო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხ
კუთხეში თითქმის სამი თვე.

ბრიგადის მიზანი იყო გაეცნობოდა
ქართველოში სოციალისტური მშენებლ
ბის მიმდინარეობა და მხატვრულად ას
ხა იგი ბელორუსულ ენაზე.

ბრიგადამ საკმაო მასალა შეაგრო
ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრების შესახ
ბელორუსულ ჟურნალ-გაზეთებში სის
მატურად იბეჭდებოდა ბრიგადის წევ
ბის ლექსები, ნარკვევები და სხვა.

ახლახან გამოვიდა ბრიგადის წევ
ბორის მიკულიჩის წიგნი „მეგობრობ
წიგნი შეიცავს 152 გვერდს და ღირს
მან და 50 კაპ.

## „როგორ იწრთობოდა ფოლადი“-ს საჯარო განხილვა

ლაგოდეხის რაიონში მხატვრულ წიგ
დღითიდღე უფრო მეტი ყურადღება ე
ცევა. მხატვრული წიგნი ფართოდ იჭრ
კოლმეურნეთა ყოველდღიურ ცხოვრებ
ში.

ამას ამტკიცებენ რედაქციაში ყოვე
დღიურად მიღებული ცნობები.

ლაგოდეხის კოლმეურნეებს მორიგ ლ
ტერატურულ მუშაობისათვის აურჩევია
ოსტროვსკის რომანი „როგორ იწრთობ
და ფოლადი“.

5 ივნისისათვის დანიშნულია რომან
საჯარო განხილვა. მანამდე კი კოლმეუ
ნეთა ბრიგადებში, სკოლებში ეწყობ
„როგორ იწრთობოდა ფოლადი“-ს წაკით
ხვა და წინასწარი განხილვა.

ოსტროვსკის რომანი ლაგოდეხის რაი
ნში გასაღებულია 500 ცალამდე.

## რუსი პოეტები ქართულა

პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ გადათარ
გმნა და მოამზადა დასაბეჭდად ნ. ნეკრა
სოვის ლექსებისა და პოემების წიგნ
(„ვინ ცხოვრობს კარგად რუსეთში“, „ყ
ნვა“, „პოეტი და მოქალაქე“ და სხვ
მშვე ხთარგმნა და გამოვა ცალკე წ
ნად ვ. მაიაკოვსკის პოემა „კარგია“.

## ორი მოთხრობა

მწერალმა ლ. მეტრეველმა დაამთავრ
მოთხრობები: „გმირობისაკენ“ და „მიგნ
ბული საუნჯე“.

პირველი მოთხრობის თემად აღებული
კოლმეურნე, რომელმაც მიაღწია შეძლ
ბულ ცხოვრებას და მთელი თავისი ს
ლისკვეთებით დაკავშირებულია სოციალ
სტურ სამშობლოს დიდ მოვლენებთან.

„მიგნებულ საუნჯეს“ თემაა: პატიოსა
გამრჯელი ადამიანი მხოლოდ და მხ
ლოდ ნამდვილ მშრომელთა შორის პო
ლობს სულიერ და ზნეობრივ კმაყოფილ
ბას, თავისი შრომისა და შესაძლებლო
ნამდვილ გაქანს.

მოთხრობები ამ მოკლე ხანში დაიბ
ჭდება ჩვენს ჟურნალებში.

# იშვიათი წიგნები

საქართველოს სახელმწიფო საჯა
რო ბიბლიოთეკა დღითი დღე აფა
რთოვებს მუშაობას და თანდათან
მეტ მკითხველს იზიდავს. 1931 წელ
ამ ბიბლიოთეკით 15.164 კაცი სარ
გებლობდა. 1935 წელს კი მკით
ხველთა რიცხვი 124 ათასამდე გა
ზარდა.

ბიბლიოთეკას უკვე კლასიფიცი
რებული და სავსებით დამუშავებულ
აქვს (ანოტაციების შედგენა და სხვ
ერთ მილიონზე მეტი წიგნი, ჟურ
ნალი და გაზეთი.

ბიბლიოთეკის დიდ წარმატებად
უნდა ჩაითვალოს იშვიათი წიგნის სა
ცავის მოწყობა. ამ საცავში თავ
უყრიან როგორც ადგილობრივ შე
გროვილ, ისე უცხოეთიდან მოტ
ნილ იშვიათ წიგნებს.

თითქმის არ მოიპოვება ძველი თუ
ახალი მოგზაურის წიგნი, რომელი
საქართველოს თუ ამიერკავკასია
შეეხებოდეს და აქ არ იყვეს!
არის, მაგალითად, მეთორმეტე საუ
კუნის მოგზაურ რუბრიკვისის, ამავ
საუკუნის მოგზაურ მარკოპოლო
და სხვათა წიგნები.

საცავში ინახება აგრეთვე „ლა
მბერტის მოგზაურობა კოლხეთში“
რომელიც 1654 წელს არის გამოც
მული ნეაპოლში. წიგნი იტალიურ
ენაზეა დაწერილი. ამ წიგნის ავტ
რი ამტკიცებს, რომ კოლხები ქრი
სტიანებად ითვლებიან, მაგრამ ნამ
დვილად წარმართები არიანო.

საჯარო ბიბლიოთეკამ წიგნებ
გაცვლის წესით, ამას წინათ პარ
ზიდან პროფესორ ბროერისაგ
მიიღო მაჯიოს წიგნი — იტალიურ
ქართულ-ირანული გრამატიკის მე
რე გამოცემა, რომელიც 1670 წელ
გამოუციათ რომში.

პ.-მ. რედაქტორი
აქ. თათარიშვილი
პ.-მ. მდივანი
ნიკოლოზ ჩაჩავა

# ხალხური თეატრისათვის

ჟურნალ „Regards“ რომენ როლანის ამ წერილს წინ უძღვარებს. შემდეგს შენიშვნას:

„ყური მივაპყრათ ჩვენში ყველაზე უფრო დიდი ავტორიტეტის მქონე რომენ-როლანს, მხცოვან ავტორს, რომელსაც ეკუთვნის, სხვათა შორის, წიგნი: „ხალხური თეატრი“ (1930) და პიესები „14 ივლისი“, „დანტონი“, „მგლები“, „თამაში სიცოცხლისა და სიყვარულისა“...

ტროკადეროს თეატრთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე უცილობლად წამოიჭრება პრობლემა: ფინანსიური, სოციალური, არტისტული.

მე შევეხები მხოლოდ უკანასკნელს.

პარიზმა ბოლოს და ბოლოს გადასწყვიტა აიშენოს საკუთარი, ხალხური თეატრი (შეიძლება რამდენიმეც), რადგან ბურჟუაზიული თეატრი, რომელსაც საკმაო დრო ჰქონდა თავისი თავის გამოსამჟღავნებლად, დღეს სულს ღაფავს. ყველაფერი, რისი თქმაც შეეძლო, უკვე სთქვა მან, და მისი მაყურებელი, როგორც თავად ეს თეატრიც, ძალზე მოქანცულად გამოიყურება. ეკონომიური პირობები, პირობები მორალური და სოციალური, თითქოს შეთქმულანო, რომ გაამეფონ დარბაზების დიდი სიცარიელე.

თეატრს სიხალისე, მხიარულება გამოელია. მან დიდიხანია მოსჭამა თავისი დრო და ახლა, არაქათგამოლეულს, აღარავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ სინამდვილესთან, მის სულისკვეთებასთან. ის ნაწარმოებებიც კი რიცხვით ძალიან მცირე, —რომელნიც ჯერ კიდევ მოწმობენ ფაქიზ მგრძნობიარობისადმი მიძღვნილ ოსტატურ ხელოვნებას, მეტად მოთენთილი, ფაფუკი. სალსარმოშლილნი არიან, რომ ასახონ მქუხარე სიცოცხლითა და ვნებებით სავსე ჩვენი ეპოქა. თითქოს ფლორიანეს და გრეტრის სალამურები ლიკლიკებენო ჩამოშვავებული ბასტილიის გრუხუნის წინაშე.

განა ვის უნდა გაუკვირდეს, რომ თეატრი დღეს დაღუპვისაკენ მიექანება?!

მართლაც, ვის გაუჩნდება სურვილი თავისი უკანასკნელი, სიმწრით შეკოწიწებული თანხები, რომელიც აუცილებელ ხარჯებს გადაარჩინა, მიაფშვნას სათუო გართობის სახლს, სადაც უთუოდ ვერ მიიღებ ვერავითარ საზრდოს იმის დასაოკებლად, რაც არსებითად გრგვნის და გიპყრობს, საზრდოს, გამოსადეგს ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისთვის, ასეთი გრიგალივით, აწყვეტილ ქარივით რომ დაგვტრიალებს თავს? აღარც ის დროა—ფუქად გაანიავო თავისუფალი საათები...

დღევანდელი თეატრი და კინო (პირველმა თითქოს იმისთვის გამოჩეკა მეორე, რომ თვით მიბაძოს მას ულაზათოდ) —რიცხვით უთვალავი, მაგრამ უკვე ღონემიხდილი, წვენდამშრალი და უპიროვნო კლასის ასახვაა — იმ წვრილი ბურჟუაზიისა, რომელსაც ერთ დროს მთავარი როლი ეკუთვნოდა ერის ბედიღბალში. ეს როლი დასრულებულია. დღეს ის არეულ მასას წარმოადგენს, დაქსაქსულს, ნერვებდაწიავებულს, ბედდამცდარს, გზააბნეულს, რომელმაც დაკარგა სამოქმედო გეზი, ყოველი საშუალება, თვით საფუძველიც კი არსებობისათვის.

დიაღაც უსიხარულო, უმზეო სიცოცხლეა!

რაღა უნდა გააჩნდეს მას თეატრის საზრდოდ? — არაფერი.

ჯერ კიდევ 40 წლის წინ მაწუხებდა სიბერის უხიათობა, ასე მძლავრად რომ ძოვდა თეატრს საფრანგეთში. უკვე მაშინ ვეძებდი გზებს ხალხური თეატრისათვის, და ვაღიარე კიდევაც—არა იმდენად უხეშობა, რამდენადაც მოლოდინი. 1900 წელს ხალხური თეატრი ნაადრევი იყო: ხალხი არ გაგვაჩნდა, ხალხს ჯერ კიდევ ვერ შეეგნო თავისი ძალა, დანიშნულება და მე ვწერდი:

— თქვენ ხალხური ხელოვნება გსურთ? უპირველეს ყოვლისა — იყოლიეთ ხალხი!

ხალხი იმდენად გონება გახსნილი, თავისუფალი, რომ ისარგებლოს ამ ხელოვნებით, ხალხი თავისი თავის ბატონ-პატრონი, დღევანდელ ბრძოლებში გამარჯვებული.

ფაუსტმა სთქვა: პირველითგან იყო საქმე, და ეს საქმეც მოვიდა. დღეს ჩვენ უკვე გვყავს ხალხი. იმ კოლოსალურ გამოსვლებში, რომელთა მოწმენი ვიყავით ყველანი ამ უკანასკნელ წლებში, მან თვით დაიმკვიდრა თავისი არსებობა, თავისი სიძლიერე. მართალია, ჯერ ამ ბრძოლაში მას არ დარჩენია ბურთი და მოედანი, მაგრამ დარჩება კი უთუოდ, მან ეს კარგად იცის, და ყველა ჩვენგანმა იცის აგრეთვე რომ იარაღასხმულ განთიადისკენ უკანასკნელ მწუხრს ვათენებთ.

დღეს უკვე საკმაოდ მოგვეპოვება მხნე და ხალისიანი ხალხური თეატრისათვის საჭირო საზრდო. თეატრს ქვეყნად უნდა აუჩქაფდეს ცხოველმყოფელი სისხლი, მან უნდა შეითვისოს ხალხის დღევანდელი განწყობილებანი, მისი ღრმა და ვაჟკაცური ვნებები.

დადგა საათი დიდი ტანჯვისა და დიდი აღგზნებისათვის, საათი დიდი მოლოდინისა იმ ავარვარებულ რწმენის ხორცშესასხმელად, რომელიც ყელყზე აყენებს ადამიანთა მილიონებს.

თითქმის დაუჯერებელია, რომ თეატრს აქამდე არაფერი დაემყნო.

ჩვენი მეგობარი ნიზანი — თავის საგულისხმო წერილში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ლ. ლუმანიტეს 1-ლ მარტის №-ში — ტრაგედიის აღორძინებას მესალმა. მაგრამ სცენაზე ტრაგედია არ იდგმება. იგი წიგნებშია, „რევოლუციური ლიტერატურა თანადროული ფორმაა ტრაგედიისო“. ნიზანმა ეს კარგად განმარტა.

„დღეს ადამიანის მისწრაფებები ხელისუფლებრთულ ომით შეებმნენ მის საწინააღმდეგო ძალებს, დარაზმულს სავსებით აუტანელ სამყაროს მიერ. ამ კონფლიქტმა აანთო ყველა რისხვის, ბრძოლის, გმირობის გრძნობები, რომელნიც აზვავდებიან ხოლმე მაშინ, როდესაც ადამიანი ხმალში იწვევს საკუთარ ბედს“. და ყველა ამას ...ტომ არ შეგვიძლია დავუმატოთ აგრეთვე სიხარული, ბრძოლისა და თავგანწირვის სიხარული? თანაც სიყვარული, სიყვარული პარტიისა და მის საქმისადმი, სიყვარული იმათი, ვინც მზად იყო გაეღო საკუთარი სისხლი საზოგადო კეთილდღეობისათვის, სიყვარული დაჩაგრულთა და იმ ხალხისადმი, რომელნიც უნდა მოგვევლინონ კიდევ, სიყვარული განქაბუკებულ კაცობრიობისადმი? ყველა ღირებულება მე-ლვარე ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიგრძნობა, როდესაც ადამიანი აღარ დაქაპულდება მისთვის მიგდებულ ხვედრს და გამარჯვებული. ხელთ იპყრობს საკუთარ ყოფას.

ასეთი ბრძოლები დიაღაც უდრის ატრიდებისა და ნიკომედების ომებს!

ისინი უკვე აღმოცენდნენ რომანში მალროს მეოხებით, რომელმაც უდავოდ მიაღწია კლასიკური ხელოვნების სისავსეს. სამაგიეროდ აქამდეც ვერ გაურღვევიათ თეატრის კედლები. ეს იმიტომ, რომ თეატრის კარები კარგადაა დაცული. თეატრს სდარაჯობს ბურჟუაზიული სახელმწიფო, ჯერჯერობით მას არ შეუძლია, ფაშისტური მთავრობების დაგვარად, აკრძალოს წიგნი, რომლის გავლენა ნაკლებ სახიფათოა. წიგნი ცალკეულ მკითხველს დაიკერძოებს ხოლმე. წიგნი ნელინელ ვრცელდება. მკითხველნი დაქსაქსულნი არიან და მრავალგვარია მათ მიერ ათვისება წიგნისა. მთლიანი განცდა აქ დარღვეულია.



თეატრი უცებ გასაბმელი კავშირის არეა. ემოცია აზვავებულ ზვირთებად გადაინავარდებს ხოლმე მაყურებლებზე და როდესაც თეატრი ამასთანავე განაყოფიერებულია ხალხის ცხოვრებით, ემოციაც გამიშვლებულია: მოქმედება უშუალოდ ჰკიდია მასზე, როგორც შუბის წვერზე.

დიად თეატრში ყოველთვის ფეთქავს მოქმედების ორგიასტული სათავეები, მისი მარტივი ლირიკის ნედლი ძალა. ასეთ თეატრში განხორციელებულია სპექტაკლისა და მაყურებლების განუყოფლობა. მოქმედება—მისი სრული სახით—ისევე უტევს დარბაზში, როგორც სცენაზე.

აშკარაა, ვიდრე ძველი წესწყობილების დამცველი სახელმწიფო იარსებებს, ის სხვადასხვა ჯებირებით შეეცდება შეაკავოს მასების მღელვარე ემოციებისა და რევოლუციური ენერგიის დენა. მაგრამ თეატრი დაუფლებული უნდა იქნას და რომ ნამდვილად დაიუფლონ და სული ჩაჰბერონ ახალ თეატრს, საჭიროა დაიღეწოს ჯებირები! და ერთხელ კიდევ ვადასტურებ იმავე დასკვნას, რომელიც საერთოდ ჩემი აზრის ყოველივე მოძრაობას აბოლოებს: თანამედროვე ქვეყნის განახლებისათვის აუცილებლად უნდა მოხდეს რევოლუცია!

მაგრამ განა იმისთვის, რომ წინასწარ გავიმაგროთ მტკიცე პოზიციები ხალხური თეატრისათვის, საჭიროა დაველოდოთ იმ ახალ დროებას, რომელიც სცენასაც დაიპყრობს სავსებით? რად არ უნდა შევისწავლოთ აქედანვე ყველა საშუალება მისი ტექნიკური განახლებისათვის?—თეატრის არქიტექტორული აღნაგობა, ფართოდ გაშლილი სივრცეების გამოყენება, მაყურებელთა ადგილების თანაბრობის დაცვით, სპექტაკლისა და მაყურებლის ურთიერთ გავლენა, სიტყვიერი დრამის შეუღლება მუსიკასა და კინოსთან, გამოჭედვა პოეტური ენისა—ჭარბ სისხლიანის, ხორციანის, ზუსტისა და დაძაბულის, როგორიც სწრაფ და მოჭრილ შემოქმედებას სჩვევია ხოლმე.

ხალხურ თეატრს, დიე, აქვანშივე დახვდეს მზა რეპერტუარი!

რაც უნდა ხვავიანი იყოს ტრაგედია, ვფიქრობ, სიცილმა მაინც უნდა ჩამოასხას საკუთარი დრამა.

ჩვენ გვესაჭიროება დიდი სატირა, დიდი ფარსი, გმირული კომედია და ხალისი, მხნეობა მომავალ დღეების მისაგებებლად.

გონება წინ უნდა მიუძღოდეს გამარჯვებას. ჩვენ დიაღაც არ ვართ ის მეომარნი, მოღუშულ შუბლით რომ იქნევენ ფარხმალს საეჭვო გამარჯვებისათვის. ისტორიის სამართალი თვით იბრძვის ჩვენს რიგებში. ჩვენ მისი მცლავები ვართ. მისი გრგვინვა, მისი რწმენა, დიე, ვიქნეთ მისი სიხარულიც!

და სანამ დადგებოდეს დიადი დღეები, ისტორიითა და ბრძოლით ატყორცნილნი, გამოვიყენოთ ტროკადეროს ფართო დარბაზები პარიზის ხალხის მრავალ ათასეულთა შესაკრებად.

გავაჩაღოთ იქ ხალხის ბრწყინვალე დღესასწაულები!

თარგმანი ფრანგულით თ. ბ.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ა 7072